სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 3 ივნისი 2008 №125 (3349) ფასი 50 თეთრი

შოთაობა ეროვნულზე

გმადლობთ SHOTA

TEŞEKÜR
DANK U
THANK YOU
GRACIAS

საათები დიდი საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე

გმადლობთ, შოთა!

შოთა არველაძე მეუღლესთან ერთად

ანდრეი კანჩელსკისი

არტურ ნუმანი და ტიჯანი ბაბანგიდა

ერთად გავაცილოთ შოთა არველაძე!!!

შოთა არველაძე გუშინ დიდ გაწამაწიაში იყო — მას ის სტუმრები ეწვივნენ, რომლებმაც ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი დღეს დიდი ფეხბურთიდან უნდა გააცილონ.

სტუმრების უმეტესობა, დაახლოებით 35 კაცი, ლუის ვან გაალის თამადობით, გუშინ ამსტერდამიდან ჩამოფრინდა, იქამდე სტამბოლიდან ანდრეი კანჩელსკისი და შოთას ძველი თურქი მეგობრები, ოგიუნი და თულუნაი ჩამოვიდნენ, სასტუმრო „მეტეხში" მათ სხვა თურქები დახვდათ, „ტრაბზონის" ძველ-ახალი ხელმძღვანელები და შოთას ქომაგები, მოგვიანებით კი სამორინე „აჭარას" დაქირავებული თვითმფრინავით კოპენჰაგენიდან ძმები ლაუდრუპები ჩამოფრინდნენ, მწვრთნელ მორტენ ოლსენს კი ოჯახური პრობლემა შეექმნა (ცოლს ეყრება) და ველარ ჩამოვა.

შოთას უცხოელ მეგობართა სია დაახლოებით 70-მდე სტუმარს ითვლის და მათ უმეტესობას დღეს ეროვნული სტადიონის მოედანზე ვიხილავთ, ბევრიც, მაგალითად, ფიფას აგენტები, ივან ბენეში და ბაირამ თუთუმლუ, რონალდ დე ბურის მეუღლე და სიმამრი, ასევე ამსტერდამის „აიაქსის" გენერალური მენეჯერი და დირექტორატის სხვა წევრები (და სხვებიც) კი ტრიბუნაზე იქნებიან და თავიანთ ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელის გამოსამშვიდობებელ მატჩს იქიდან ნახავენ.

სამწუხაროდ, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა ერთ-ერთმა დიდმა არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ, თუმცა ის შოთას შემოდგომაზე მაინც ესტუმრება, სავარაუდოდ, შოთას ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაციაზე. გადაუდებელ საქმეთა გამო თბილისში არც ედგარ დავიდსია, ის ლამის თვითმფრინავის ტრაპიდან გაბრუნებულა და შოთას ბოდიში შემოუთვალა. თუმცა ვინც უკვე აქ არის, მათი თამაშითაც გვისიამოვნია და გადაჭედილ „ეროვნულზე" დღესაც ასე იქნება. ისე კი, შოთას მეგობართა გუნდში რამდენიმე მოქმედი ფეხბურთელიცაა და მოედანზე მათი ყოფნა მატჩს თავის ხიბლს მისცემს.

...კანჩელსკისი და თულუნაი, როგორც ვთქვით, თბილისში სხვებზე ადრე ჩამოფრინდნენ. ნახევარი საათის შემდეგ კი ამსტერდამი-თბილისის თვითმფრინავიც დაეშვა. არანაირი სავიზო პრობლემა იქ არ ყოფილა, პასპორტებში შესაბამისი მონაცემები გაფორმდა და ყველანი ავტობუსით „მეტეხისკენ" წავიდნენ.

ჟურნალისტთა ალყაში პირველად, ცხადია, ლუის ვან გაალი მოექცა, მსოფლიოს უდიდეს მწვრთნელთაგანი, მერე კი იყვნენ ძმები დე ბურები, ტიჯანი ბაბანგიდა, რომელსაც ოდნავ ლიპი დასტყობია და იქვე განმარტოებით იდგა, დიდი „აიაქსის" კაპიტანი დენი ბლინდი, აარონ ვინტერი, რიხარდ ვიჩგე, დენი კუვერმანსი, ვინც მარკო ვან ბასტენმა ავსტრია-შვეიცარიის ევროპის ჩემპიონატს მიღმა ორიოდ დღის წინ დატოვა; მიხაელ მოლსი, შოთასდროინდელი „რეინჯერსის" დაუღალავი შემტევი; დენი ლანძაატი, „ალკმაარის" ყოფილი კაპიტანი, დამიანო ტომაზი, თავის დროზე „რომას" კაპიტანი და იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი... ცოტა ხანში კი, ვფიქრობ, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებიც ჩამოვიდნენ — დანიელი ძმები, მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები.

მოკლედ, თბილისში ვარსკვლავთცვენაა და დღეს ყველას ეროვნულ სტადიონზე ვნახავთ.

ერთად გავაცილოთ შოთა არველაძე — სტუმართა ავტობუსზე ასეთი წარწერა იყო და ჩვენც მანდვართ: ერთად გავაცილოთ შოთა არველაძე!!!

...ოღონდ, როგორც თავად შოთამ ითხოვა, სტადიონზე ზედ მატჩის დაწყების წინ ნუ მივალთ — 45 წუთით ადრე შოთას ქომაგთათვის რაღაც-რაღაცები აქვს ჩაფიქრებული.

შოთა არველაძეს დიდი ფეხბურთის დამთავრებამდე საათებიღა დარჩა... დღევანდელი მატჩის შემდეგ კი ყველამ ერთად ვთქვათ — გმადლობთ, შოთა!

კობა ინასარიძე

მეკარეები

ფრედი გრიმი (ჰოლანდია)
ხალიდ სინუ (მაროკო)

მცველები

დანი ბლინდი (ჰოლანდია)
ფრანკ დე ბური (ჰოლანდია)
არტურ ნუმანი (ჰოლანდია)

ნახევარმცველები

ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია)
რონალდ დე ბური (ჰოლანდია)
დინ გორე (ჰოლანდია)
ანდრეი კანჩელსკისი (რუსეთი)
თოლუნაი კაფკასი (თურქეთი)
დენი ლანძაატი (ჰოლანდია)
მიქაელ ლაუდრუპი (დანია)
დამიანო ტომაზი (იტალია)
აარონ ვინტერი (ჰოლანდია)
რიხარდ ვიჩგე (ჰოლანდია)
სტინ შაარსი (ჰოლანდია)

თავდამსხმელები

დანი კუვერმანსი (ჰოლანდია)
ბრაიან ლაუდრუპი (დანია)
მიხაელ მოლსი (ჰოლანდია)
ოგიუნ თემიზქანოღლუ (თურქეთი)
კენეტ პერესი (ჰოლანდია)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი (ჰოლანდია)

შოთა და სტატისტიკა

შოთა არველაძის პროფესიული კარიერა 18 წელს ითვლის და დღეს ჩვენს თვალწინ დასრულდება.

დღევანდელი გამოსათხოვარი მატჩი ისეთია, რომ არ დაგვავიწყდება, აი, მისი პირველი თამაში კი, ვეჭვობთ, ოჯახის გარდა ვინმეს ახსოვდეს.

ერთი სტატისტიკაა, ყველაფერს რომ იმახსოვრებს, უფრო სწორად — ითვლის.

შოთას 611 საკლუბო მატჩიდან ოდენ პირველი სეზონის 30 თამაშია, უმაღლეს ლიგაში რომ არ ჩაუტარებია, 381 საკლუბო გოლით კი ძალიან ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის. ამას 26 სანაკრებო გოლიც უნდა მივამატოთ.

და ცხრილის მცირე განმარტებაც: მესამე დანაყოფში ლიგის თასის, სუპერთასის და პლეი ოფების მატჩები და გოლებია. ხოლო 2004/05 წლების სეზონში შოთას ჩემპიონთა ლიგაშიც და უეფას თასზეც აქვს ნათამაშევი და ეს მონაცემები განცალკევებული გვაქვს.

		ჩემპიონატი		თასი		ლთ/სთ		ეთ		სულ	
1990	მართვე	30	33	9	4	-	-	-	-	39	37
1991	იბერია	7	3	-	-	-	-	-	-	7	3
1991/92	იბერია	30	22	7	7	-	-	-	-	37	29
1992/93	დინამო	23	18	8	7	-	-	-	-	31	25
1993/94	დინამო	7	8	-	-	-	-	2	2	9	10
	ტრაბზონსფორი	18	15	4	4	1	2	-	-	23	21
1994/95	დინამო	8	11	-	-	-	-	4	2	12	13
	ტრაბზონსფორი	19	12	6	6	1	0	-	-	26	18
1995/96	ტრაბზონსფორი	34	25	3	2	-	-	4	1	41	28
1996/97	ტრაბზონსფორი	24	10	6	3	1	2	4	5	35	20
1997/98	აიაქსი	31	25	6	5	1	0	8	7	46	37
1998/99	აიაქსი	19	7	3	1	1	0	3	0	26	8
1999/00	აიაქსი	17	5	-	-	-	-	2	1	19	6
2000/01	აიაქსი	27	18	1	0	-	-	3	2	31	20
2001/02	აიაქსი	2	0	-	-	-	-	2	1	4	1
	რეინჯერსი	22	11	5	3	3	3	-	-	30	17
2002/03	რეინჯერსი	30	15	6	1	2	0	2	0	40	16
2003/04	რეინჯერსი	19	12	3	2	1	0	6	1	29	15
2004/05	რეინჯერსი	24	6	-	-	2	1	5/2	2/0	33	9
2005/06	ალკმაარი	31	22	3	0	2	1	6	2	42	25
2006/07	ალკმაარი	29	14	3	1	4	1	11	7	47	27
2007/08	ლევანტე	4	0	-	-	-	-	-	-	4	0
		455	292	73	46	19	10	64	33	611	381

საქართველოს ნაკრები — შოთას არველაძის მეგობრები

3 ივნისი, მატჩის დაწყების დრო 18 საათი. მატჩზე დასწრების მსურველთა საყურადღებოდ: გაცნობებთ, რომ თამაშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 31 მაისიდან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში. ბილეთების ფასი 5, 7 და 10 ლარი.
კორპორატიული კლიენტებისთვის ბილეთები ტურისტულ სააგენტო GFF TRAVEL-ში გაიყიდება. ტელეფონი: 91 70 14.
ელ. ფოსტა TRAVEL@GFF.GE
გულშემატკივრებს ვთხოვთ, 3 ივნისს სტადიონზე მობრძანდეთ 17 საათიდან.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

აზია. III ტური

იაპონია 3:0 ომანი
ტაილანდი 2:3 ბაჰრეინი
თურქმენეთი 0:0 ჩრდ. კორეა
სინგაპური 3:7 უზბეკეთი
ირანი 0:0 საამიროები
სირია 1:0 ქუვეითი
ყატარი 0:0 ჩინეთი
ს. არაბეთი 4:1 ლიბანი

ამხანაგური მატჩი

ფინეთი 1:1 ბელარუსი

ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

ბოდიო გლიმტი 1:0 ლილესტრიომი

შვედეთი

სუპერეტა. VIII ტური

ატვიდაბერგი 1:2 ლანდსკრონა

ისლანდია

I დივიზიონი. V ტური

გრინდავიკი 0:3 ჰაფნარფიორდური
რეიკიავიკი 2:0 ფრამი
კოპავოგური 4:2 ვალიური

გმადლობთ, შოთა!

გაჩრი ქუთათელაძის ფოტო

ლუის ვან გაალი: მწვრთნელი შოთა უფრო დიდი იქნება!

— ვიცით, რომ ახლა მოუცლელი ხართ, მაგრამ შოთა არველაძის საბენეფისო მატჩზე ჩამოსასვლელად დრო მაინც გამონახეთ...

— ახლა მცირე პაუზა მაქვს, ჰოლანდიაში სეზონი დასრულდა. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში ისევ „ალკმაარს" ვუთავკაცებ და მეც ამ მომენტით ვისარგებლე. ასეც რომ არ იყოს, შოთას გამო ყველა საქმეს გადავდებდი. მისი ხათრით მაინც ჩამოვიდოდი. შოთა განსაკუთრებული ადამიანია. მასთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. ის ისევე საიმედოა მოედანზე, როგორც მის მიღმა. მე შოთას ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მეგობრად ვთვლი.

— სხვათა შორის, ჩვენთან ინტერვიუში რონალდ დე ბურმა გვითხრა, რომ ფეხბურთელებს მამასავით ეპყრობოდით...

— ოო, ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტია, მით უმეტეს, ასეთი ფეხბურთელისგან და პიროვნებისგან როგორიც რონალდ დე ბურია. ფრენკი, მისი ძმა, ჩემი მარჯვენა ხელი იყო მოედანზე, ამ ძმებმა ბოლომდე მიერთგულეს. საერთოდ, ფეხბურთი მარტო ტაქტიკა, პასი, გაიქეცი-გამოიქეცი და კარში დარტყმა არაა. ჩემი პრინციპი ყოველთვის ის იყო, რომ ბიჭებთან მაქსიმალურად მამაშვილური ურთიერთობა მქონოდა. მე მათი მესმოდა, მათ კი ჩემი. ამ პრინციპით რამდენიმე გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიეთ.

— სიტყვამ მოიტანა და, რომელ გუნდში მუშაობის პერიოდს მიიჩნევთ თქვენს კარიერაში საუკეთესოდ?

— სადაც კი მიმუშავია, ყველასთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. ასე იყო „აიაქსში", „ბარსელონაში", ჰოლანდიის ნაკრებში და ასე გაგრძელდება „ალკმაარში". შედეგით კი უდავოდ „აიაქსში" გატარებულ წლებს გამოვარჩევ. მხოლოდ ორი-სამი გამოცდილი მოთამაშე მყავდა, დანარჩენები კი 18-19 წლის დამწყები ფეხბურთელები იყვნენ და ამ დროს ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ, თანაც დიდი „მილანი" დავამარცხეთ! იმ დროისთვის „აიაქსი" ახალ, ლაღ და რომანტიულ ფეხბურთს თამაშობდა, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი მიღწევაა. ყოფილმა აიაქსელებმა დიდ კლუბებში დიდი ფეხბურთი ითამაშეს. „ბარსელონაში" გატარებული წლებიც განსაკუთრებულად მახსენდება, ბოლოს და ბოლოს, ორჯერ გავხდით ესპანეთის ჩემპიონები, თან შეკრული და მეგობრული გუნდი ვიყავით.

— შემდეგ ჰოლანდიის ნაკრები იყო...

— ეს არის ყველაზე ცუდი პერიოდი ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. პირდაპირ გეტყვით, ის ნაკრები მართლაც ძლიერი იყო, მაგრამ ფეხბურთში არსებობს ფორტუნაც, რომელიც მაშინ ჩვენს მხარეს ნაღდად არ იყო... მაშინ დეპრესიაც კი დამეწყო...

— და დეპრესიიდან „ალკმაარში" მუშაობამ გამოგიყვანათ?

— დიახ, ასე იყო. მანამდე „ალკმაარი" ჰოლანდიაშიც კი ერთი ჩვეულებრივი კლუბი იყო. ჩვენ იმდენი გავაკეთეთ, რომ უეფას თასზე გავედით და ჰოლანდიის ჩემპიონობა ბოლო ტურში დავკარგეთ. მე უფრო სხვა ფაქტორმა გამახარა, შოთას ისედაც იცნობდა ევროპა, ჩვენთან კი ახალი სახეები — დენი ლანძაატი, მარკ კიკერმანსი გამოჩნდნენ. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ამ მოთამაშეების აღმოჩენა უფრო დიდი საქმეა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში ერთი-ორი ეტაპის გავლა.

— საუბრის დასაწყისში გვითხარით, რომ შოთა არველაძესთან მუშაობა თქვენთვის სიამოვნება იყო. როგორც ვიცით, მას „ალკმაარში" თქვენს თანაშემწეობას სთავაზობთ...

— დიახ, ასეა, თუმც მანამდე შოთას თეორიული კურსის გავლა მოუწევს. ჩვენ შოთას 18 ივნისს ჰოლანდიაში ველით, იქ ალბათ საბოლოოდ მოვილაპარაკებთ, თანაც შოთას აუცილებლად დასჭირდება A ლიცენზიის აღება.

— თქვენი აზრით როგორი მწვრთნელი იქნება შოთა?

— დარწმუნებული ვარ, რომ როგორი მოთამაშეც იყო, იმაზე დიდი მწვრთნელი გახდება, რადგან მან იცის, როგორ მოიქცეს გასახდელში და იცის როგორ დამოძღვროს გუნდი მოედანზე.

— და ბოლოს, თქვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატიც იყავით...

— მე და შოთას გვქონდა ინფორმაციების გაცვლა, შემოთავაზებაც იყო, თუმც ამის იქით საქმე არ წასულა. თანაც მე უკვე შევუთანხმდი „ალკმაარის" ხელმძღვანელებს, რომ მომავალ სეზონში ისევე ამ გუნდში დავრჩები.

ბაჩო სვანიძე

დამიანო ტომაზი: „დიდი ხანი არ არის, რაც შოთას ახლოს ვიცნობ, თუმცა ვფიქრობ, მეგობრობა იმით არ განისაზღვრება, თუ რამდენი ხანი იცნობ ამა თუ იმ ადამიანს. შოთა გამორჩეული პიროვნებაა, მასთან ურთიერთობა ჩემთვის ძვირფასია და ძალიან მიხარია, მისი ფეხბურთიდან გაცილების მატჩში რომ ვითამაშებ. სამწუხაროა, რომ ის თამაშს თავს ანებებს, მაგრამ ვიცი, ამას იძულებით აკეთებს. არველაძემ ეს სეზონი „ლევანტეში" ჩემთან ერთად გაატარა და ვხედავდი, როგორ წუხდა ქრონიკულად მტკივანი ფეხის გამო. ძალიანაც არ უნდოდა შოთას, რომ კარიერა დაესრულებინა და ამიტომაც წუხს. ჩვენ კი, მისი მეგობრები, შევეცდებით, ლამაზი საღამო ვაჩუქოთ შოთას და ფეხბურთიდან კარგი განცდებით გავაცილოთ".



კენეტ პერესი: „ჩემთვის დიდი პატივია, შოთას საბენეფისო მატჩში მონაწილეობა. ის იყო თავისი ქვეყნისთვის დიდი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპაშიც თქვა ხმამაღალი სიტყვა. მე და შოთა ერთად ვთამაშობდით ამსტერდამის „აიაქსში", სადაც მას გოლი გოლზე გაჰქონდა და აღფრთოვანებაში მოჰყავდა ამ კლუბის ქომაგები. წარმომიდგენია, რამხელა სიხარულს ჩუქნიდა შოთა ქართველ გულშემატკივარს, როცა ეროვნულ ნაკრებში გოლები გაჰქონდა. ხვალ ის ბოლოჯერ გავა მოედანზე და მჯერა, რომ მისი ფეხბურთთან გამოსამშვიდობებელი მატჩი ძალიან საინტერესოდ, ლამაზად ჩაივლის".



აარონ ვინტერი: „ჩემთვის დიდი პატივია შოთას გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობა. ბედნიერი ვარ, მოწვევა რომ მივიღე. ახლა რომ ვუყურებ, როგორ დახვედრას გვიწყობთ, ვრწმუნდები, როგორი თბილი ხალხი ხართ ქართველები. მე კი შემიძლია დაგპირდეთ, რომ ხვალ სტადიონზე არ მოიწყენთ...

...ახლა „აიაქსის" მეორე გუნდის მწვრთნელი ვარ და მერე რა იქნება, ვერ გეტყვით. ისე კი, ფეხბურთში მინდა ყოფნა."

რონალდ დე ბური: პირველ რიგში, შოთა ძალიან კარგი პიროვნებაა და ვიცი, სადაც უთამაშია, ყველა გუნდში ბლომად მეგობრები ჰყავდა. ამაში იოლად დარწმუნდებით, ხომ ხედავთ, რამდენი ვარსკვლავი ჩამოვიდა მის საბენეფისო მატჩზე?! მე და ჩემი ძმა ფრენკი სიამოვნებით დავთანხმდით შოთას, როცა თბილისში მოგვიწვია. არველაძე ჰოლანდიაშიც და ყველა იმ ქვეყანაში, სადაც უთამაშია, ძალიან პოპულარულია. ესპანეთში ტრავმის გამო არ გაუმართლა, თორემ დარწმუნებული ვარ, ისეთივე ფორმაში რომ ყოფილიყო, როგორც „აიაქსში", „ლევანტეშიც" ძალიან ბევრ გოლს გაიტანდა...

...ველი, რომ ხვალ ბევრი ქომაგი მოვა შოთა არველაძის კარიერაში ბოლო მატჩის სანახავად".

დენი ბლინდი: „შოთა „აიაქსის" სული და გული იყო. მისი გოლებით უამრავი მატჩი გვაქვს მოგებული. მოედნის მიღმა კი შოთა საუკეთესო მეგობარია. ნებისმიერი კომპანიის გამხიარულება შეუძლია. ბოლომდე რომ გვერდით დაგიდგება, ისეთი ადამიანია. მიხარია, აქ რომ ვარ. ქალაქის დათვალიერებაც მინდა და დარწმუნებული ვარ, ძალიან მომეწონება.

— თქვენზეც გკითხავთ. ამჟამად „აიაქსის" ტექნიკური დირექტორი ხართ და მწვრთნელობაზე ხომ არ ფიქრობთ?

— მომწონს ჩემი საქმე და ის, რომ ისევ „აიაქსში" ვარ. მწვრთნელობას რაც შეეხება, გამორიცხული არაფერია. ალბათ იცით, მწვრთნელობა ჩემთვის ნაცნობი საქმიანობაა და მომავალში ალბათ ისევ მივუბრუნდები.

„ძალიან გახარებული ვარ, ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი რომ მომეცა. სიმართლე ვთქვა, ამას არც ველოდი, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო: ცუდი კი ისაა, რომ ორი მატჩიდან ერთიც ვერ მოვიგეთ“ — გვითხრა **გიორგი ლორიამ**, რომელიც ესტონეთთან პირველად ჩადგა ეროვნული ნაკრების კარში და მწვრთნელი პეტარ სეგრტი მას ოთხ დღეში პორტუგალიასთან მძიმე მატჩშიც ენდო. თბილისის „დინამოს“ 22 წლის მეკარე კლუბში თითქმის არ თამაშობს, რაკიღა დიდიე ოვონოს კონკურენციას ვერ სძლევს, ახალგაზრდული ნაკრების კარში კი რამდენჯერმე მდგარა. ესტონეთთან თუ ლორიას მაინცდამაინც დიდი დატვირთვა არ ჰქონია, პორტუგალიასთან, იცოცხლეთ, მის კარს მაგრად ბომბავდნენ...

გიორგი ლორია: პეტარ სეგრტმა პორტუგალიასთან მოსაგებად გაგვიყვანა

— რა შეგძინა ამ ორმა მატჩმა და რა გრძნობა იყო ეროვნულ ნაკრებში თამაში?

— ბედნიერი ვიყავი. ვერ წარმოვიდგენდი, სეგრტი ორივე მატჩში მე თუ დამაყენებდა. ნერვიულობის მომენტი არ მქონია, ეგაა, პორტუგალიასთან თამაშის წინ საოცარი გრძნობა მქონდა, რაღაც სხვანაირი განცდა იყო. მერე, თამაში რომ დაიწყო, რაც წუთები გადიოდა, მით უფრო აზარტში შევედი.

— სეგრტმა რა გითხრა ამ მატჩების შემდეგ?

— ესტონეთთან თამაშის შემდეგ გაწბილებული იყო, მოგება უნდოდა მასაც და ჩვენც, ფრით არ ვიყავით კმაყოფილები. თუმც ბრძოლისთვის მადლობა გადაგვიხადა. ასევე იყო პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ — არ გეგონოთ, წაგება გაემართლებინა. სეგრტმა ისე გაგვამხნევა პორტუგალიასთან თამაშის წინ თეორიაზე, რომ...

— კერძოდ?

— ამას ვერ ვიტყვი. მაგარი „დაქოქვა“ კი იყო... სეგრტი მაქსიმალისტია და პორტუგალიასთანაც მოგება უნდოდა.

— არ თვლი, რომ ნაკრები ძალიან ჩაკეტილი იყო დაცვაში?

— ესტონეთთან მატჩში სხვანაირად იყო, მაგრამ პორტუგალიასთან შემტევი ფეხბურთი არ გამოვიდოდა. სეგრტმაც ასეთი თამაში დაავალა გუნდს, ფრთხილად უნდა ყოფილიყავით და გოლი არ გაგვეშვა, თუმც ორი ბურთი მაინც მივიღეთ.

— გაშვებულ გოლებზე რას იტყვი. ორ თამაშში სამი გაგიტანეს და აქედან ორი პენალტით; მაგრამ ჟოაო მუტინიუს დარტყმის აღება არ შეგეძლო?

— უნდა გადამერჩინა გუნდი. ვერ დავინახე დარტყმის მომენტი. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ.

— ყველაზე მეტად რომელმა პორტუგალიელმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება?

— დეკუს. კრიშტიანუ რონალდო კრიშტიანუ რონალდოა, მაგრამ თამაში დეკუს მიჰყავდა.

— ხომ არ შეატყვე, რომ პორტუგალია მაინცდამაინც მთელი მონდომებით არ თამაშობდა?

— ერთადერთი, შესაძლოა, ტრავმებს უფრთხოდნენ ევროპის ჩემპიონატის წინ. ისე კი, რა ვიცი, ნაკლები მოტივაცია ჰქონდათო, ვერ ვიტყვი. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მეორე ტაიმში შემოიყვანეს, ევროპისთვის ძირითად შემადგენლობაში თამაში სურთ და მოდუნებულები არ ყოფილან. ხომ გეუბნებით, ალბათ, ტრავმებს თუ ერიდებოდნენ.

— მთელი 90 წუთის განმავლობაში მოცლა არ გქონია. ისე ჩანდა, მათი ყველა შეტევა სახიფათო იყო...

— ასეა. მგონი, ყველა შეტევა კარში დარტყმით დაასრულეს. საბედნიეროდ, ჩვენი დაცვა ბევრ ხიფათს მოერია.

— შენს ნაკლზე რას იტყვი — რა კომპონენტი გაქვს ყველაზე მეტად დასახვეწი?

— სათამაშო პრაქტიკა მჭირდება და დანარჩენს მოევლება. ვარჯიში არ მეზარება და ყველაფერს ვეცდები, რათა წინსვლა მქონდეს. სათამაშო პრაქტიკა კი მეკარისთვის აუცილებელია.

— დიდიე ოვონო თუ „დინამოში“ დარჩება...

— ვნახოთ... „დინამოში“ ახალი მწვრთნელი მოვა. იმედია, ღმერთიც გადმომხედავს და ძირითადში მოვხვდები. ამის გარეშე ნაკრებშიც ძნელია თამაში. თუ ეროვნულში კიდევ გამომიძახებენ, ვეცდები, თავი არ შევირცხვინო. შრომას გავაგრძელებ და იმედია, დამიფასდება.

ილია ნანოგაფშვილი

ოლიმპს არ ეხუმრება: ბაბუნაშვილი, მეგრელაძე, მიკუჩაძე, ჩხეტიანი, ქებაძე...



საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდა და ახლა ყველა ქართული გუნდი შვებულებაშია. შარშან რუსთავის „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, წლეულს კი მეოთხეობას დასჯერდა. რუსთაველებმა ინტერტოტოზე გასასვლელი საგზური კი მოიპოვეს, მაგრამ იქ თამაში არ ისურვეს. ამბობენ, მომავალ სეზონში რუსთაველებს ამბიციური გუნდი ეყოლებათო და ჩვენც გუშინ „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ ხვიჩა ძასრაშვილს შევეხმიანეთ...

— გუნდი ახლა შვებულებაშია და სეზონისთვის მზადებას როდის შეუდგებით?

— 16 ივნისს ვგეგმავთ ვარჯიშის დაწყებას, თბილისში „ნორჩ დინამოელზე“ გვექნება წვრთნები. შიგადაშიგ ორჯერადი ვარჯიშებიც გვაქვს დაგეგმილი.

— შეკრებას სად გაივლით?

— სავარაუდოდ, ურეკში წავალთ.

— ალბათ, ახალ ფეხბურთელებს შეიმატებთ...

— უკვე რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ — გიორგი მეგრელაძე, კოკა მიკუჩაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი, ლაშა ქებაძე.

— კიდევ თუ გეგმავთ გაძლიერებას?

— დაცვის და ნახევარდაცვის ხაზში გვჭირდება შევსება.

— „ოლიმპში“ ლეგიონერებიც გამოჩნდებიან?

— არ არის გამორიცხული, უცხოელებიც მოვიყვანოთ.

— გუნდიდან თუ წავიდა ვინმე?

— უკრაინელი ლეგიონერი ალექსანდრ ომელიანოვი დაგვემშვიდობა. გიორგი ლომაია კი, მოგეხსენებათ, ჩვენთან სეზონის ბოლომდე იყო და ახალ სეზონში სხვა გეგმები აქვს. ლომაია წავიდა, მაგრამ მირზა მერლანი დაგვიბრუნდა და მეკარის პრობლემაც აღარ გვაქვს.

— „ოლიმპს“ კიდევ ხომ არავინ დატოვებს?

— ჯერჯერობით არავის გაშვებას არ ვაპირებთ და ვნახოთ...

— მომავალ სეზონში გუნდის ხელმძღვანელობა რა მიზანს ისახავს?

— ჩვენი მიზანი სამეულში შესვლა და უეფას თასის საგზურის მოპოვება იქნება.

ნუგრი ლოლაძე

ჯაბა დვალი დაჩიაში ვიცვა

ჯაბა დვალი

მოლდოვაში ჩემპიონატი ახალი დასრულებულია და იქაური კლუბების ქომაგებმა უკვე დაასახელეს საუკეთესო ფეხბურთელები.

„დაჩიას“ გულშემატკივართა გამოკითხვით, გუნდის საუკეთესო ბომბარდირ ჯაბა დვალს 106 ხმით მეორე ადგილი ერგო და გამარჯვებულ მაქსიმ ანდრონიკს 58 ხმით ჩამორჩა, მესამე ადგილზე გასულ მიხაი მორარუს კი 80 ხმით გაასწრო.

ზიმბრუელი მამუკა ლომიძე გუნდის საუკეთესო მცველად რომ აღიარეს, უკვე ვწერდით. ჩვენებური მესამე ადგილზე გავიდა საუკეთესო ფეხბურთელებში და მხოლოდ ნიკოლაი კალანჩას და ალექსეი ჟდანოვს ჩამორჩა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლევან გვაზავამ ავსტრიით დაიწყო

ვლადივოსტოკის „ლუჩენერგია“ ერთ-ერთია იმ რუსული კლუბებიდან, ადრიანად რომ შეუდგნენ მზადებას ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის.

ახლა პრემიერლიგაში შესვენებაა და კლუბებიც დროს არ კარგავენ. ვლადივოსტოკელებმა ავსტრიული ქალაქი ფლახაუ შეარჩიეს. გუნდთა ერთადაა ლევან გვაზავაც, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ ახლა ჯანზეა.

„ლუჩი“ დატოვა ქართული წარმოშობის მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ.

ვლადივოსტოკელები ავსტრიაში 18 ივნისამდე დარჩებიან, 21 ივნისიდან კი მეორე შეკრებას მოსკოვში გაივლიან.

მცირე შვებულება დაუმთავრდათ „ლოკომოტივის“ ქართველებს, მალხაზ ასათიანსა და დავით მუჯირს, თუმც ჩვენებურები გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან. მიზეზი შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩია. ჩერკიზოვოში გუშინ კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელებთან თათბირი ჰქონდათ, რის შემდეგ გუნდმა ივარჯიშა.

ცხადია, ამ თათბირსა და ვარჯიშს ასათიანი და მუჯირი არ დასწრებიან.

16 ივნისს „ლოკოც“ (უკვე ქართველებთან ერთად) ავსტრიაში გაემგზავრება და 12 დღეს დაჰყოფს, მანამდე რკინიგზელები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თარგამაძის ტაიმნახევარი

„ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდმა მორიგი მატჩი მოიგო, ამჯერად სტუმრად „ფიურტს“ 2:1 სძლია და მიუხედავად ამისა, ისევ მეორე ადგილზეა — სამი ქულით ჩამორჩება „შტუტგარტს“.

„ფიურტის“ თანატოლებთან დავით თარგამაძემ ძირითადში ითამაშა და 66-ე წუთზე შეცვალეს. გადამწყვეტი გოლი კი სწორედ ჩვენიანის ნაცვლად შესულმა ფეხბურთელმა გაიტანა.

ილია ნანოგაფშვილი

ტოპ-350: დარჩა მხოლოდ დინამო

მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ვებგვერდმა საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა და სადღეისოდ პლანეტის ტოპ-350-ში მხოლოდ ერთი ქართული კლუბია — თბილისის „დინამო“. არადა, რამდენიმე თვის წინ ხან ორი, ხან სამი ქართული გუნდი იყო ხოლმე სიაში. „დინამოს“, „ზესტაფონი“ და „ამერი“ უმშვენებდნენ მხარს.

წინა თვის მერე საქართველოს ჩემპიონმა 12 საფეხურით უკან დაიწია და 243-247-ე ადგილებს იყოფს მექსიკურ „ტოლუკასთან“, პერუულ „სპორტინგ კრისტალთან“, ავსტრალიურ „ადელაიდასთან“ და პარაგვაულ „ოლიმპიასთან“ ერთად.

ცხრილის სათავეში კი, რა გამოცნობა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელსაც ლიბერტადორესის თასის მფლობელი „ბოკა ხუნიორსი“ და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი „ჩელსი“ მიჰყვებიან. აღსანიშნავია, რომ ათეულში ოთხი ინგლისური კლუბია, ხოლო უეფას თასის მომგები „ზენიტი“ 22-ე ადგილზეა.

ილია ნანოგაფშვილი

1 (1)	„მანჩესტერი“	286
2 (4)	„ბოკა ხუნიორსი“	267
3 (2)	„ჩელსი“	258
4 (3)	„ბარსელონა“	257
5 (6)	„ბაიერნი“	252
6 (11)	„რეინჯერსი“	251,5
7 (9)	„რომა“	248
8 (5)	„ლივერპული“	243
9 (10)	„არსენალი“	237
10 (13)	„ინტერი“	226

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები



არიენ რობენი

მარკო თოფს დაემუქრა

ჰოლანდია 2:0 უელსი

1:0 რობენი (35), 2:0 სნეიდერი (54)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, ჰეიტინგა (მელხიოტი 46), მატიისენი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 80), ვან ბრონკჰორსტი (დე კლერი 46), ენგელაარი (დე იონგი 46), დე ზეუვი (კუიტი 46), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (აფელაი 67), რობენი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
მსაჯი: ფელიქს ბრიხი (გერმანია)
49 000 მაყურებელი

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა უელსთან მოგების შემდეგ თქვა:

„გუნდმა გულიანად იშრომა ამხანაგურ მატჩებში და ჩვენი პროგრესით კმაყოფილი ვარ. მოსამზადებელი პერიოდი კარგი იყო. უელსთან მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ ზოგადად, ნაკრების წინსვლა შეიმჩნევა და ეს მახარებს.

როცა საუბარია არიენ რობენზე, ეს ნიშნავს სისწრაფეს და სიმდიდრეს გუნდში. მან საუცხოო გოლი გაიტანა და მეტოქეს მუდმივად საფრთხეს უქმნიდა. როგორც ჩანს, ძველი ტრავმების და ტკივილების კვალიც აღარ ემჩნევა და ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის კოზირი იქნება“.

„ნარინჯისფერებმა“ ევროპის ჩემპიონატამდე ბოლო ამხანაგური მატჩი ითამაშეს და უელსი დაამარცხეს.

23-კაციანი სიის გამოცხადების შემდეგ ვან ბასტენს ერთი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა. რაიან ბაბელმა ვარჯიშზე კოჭი ისე იტკინა, რომ მის მკურნალობას თვეზე მეტი დასჭირდება. ამიტომ ბაბელის ნაცვლად მწვრთნელმა „სევილიას“ მცველ ხალიდ ბულარუზს უხმო.

ჩემპიონთა თასის მომგებმა ედვინ ვან დერ სარმა განაცხადა, რომ თანაგუნდელების თამაშით კმაყოფილია, მაგრამ ბაბელის ტრავმა ძალიან ეწყინა:

„ჩვენ კარგად ვემზადებოდით და ამხანაგურებშიც ნორმალურად ვითამაშეთ, მაგრამ ბაბელის გამოკლებამ გული დამწყვიტა და ცოტა გეგმები აგვირია“.

„არსენალის“ ფორვარდმა რობინ ვან პერსიმ დანიასთან და უელსთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა, მაგრამ მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი ევროჩემპიონატის დაწყებამდე გამოკეთდება.

ვან ბასტენი სიტყვით „არსენალსაც“ გადასწვდა — კლუბში კარგად რომ მოევლოთ, ახლა სრულ ჯანზე იქნებოდაო.

რაც შეეხება უელსთან მატჩს, არიენ რობენი ორ მცველში გაძვრა და წინ გამოსულ მეკარეს მარცხენა დაბალ კუთხეში დაურტყა.

უესლი სნეიდერმა კი საჯარიმო დარტყმით შეაგდო — ბურთი „კედელს“ გადაავლო და ჰენესისგან მარჯვენა ცხრიანში ჩააზრიალა.

ერთმანეთს გაუგეს

ზლატანმა (მარცხნივ) უკრაინელებთან ტრავმა მიიღო

შვედეთი 0:1 უკრაინა

0:1 ნაზარენკო (82)
შვედეთი: ისაკსონი (შაბანი 46), ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, ალექსანდერსონი (სტოორი 72), ვილჰელმსონი, კალსტრიომი, ლინდეროთი (სვენსონი 56), ს. ლარსონი (ლიუნგბერგი 46), ჰ. ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი (ელმანდერი 56; ოლბაკი 76)
მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი
მსაჯი: თომას ეინვალერი (ფინეთი)
25 223 მაყურებელი

„ტკივილი არ მაწუხებს — განაცხადა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა უკრაინასთან მატჩის შემდეგ — დღესვე ექიმთან მივალ და გავიგებ, რა მჭირს. სამწუხაროდ, გასატანი ვერ გავიტანე. წაგებას არ ვიმსახურებდით. მე და ჰენრიკ ლარსონი ერთმანეთს კარგად ვუგებთ“.

ფრედერიკ ლიუნგბერგმა კი მეტოქის ღირსებაზე ისაუბრა: „უკრაინა ტექნიკური გუნდია, მაგრამ ჩვენი შანსები, რომ გამოგვეყენებინა, მოვიგებდით. დღეს კარგად ვითამაშეთ, თუმცა ევროპის ჩემპიონატისთვის უფრო უკეთ უნდა მოვემზადოთ“.

ლარს ლაგერბეკმა ლარსონით და იბრაჰიმოვიჩით დაიწყო მატჩი, მაგრამ, ვერც მათ და ვერც შემცვლელებმა უკრაინის კარის გასაღებს ვერ მიაგნეს. ანდრეი რუსოლმა ერთ ეპიზოდში ჰენრიკ ლარსონის დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა.

სებასტიან ლარსონს კი მეკარე პიატოვმა ორჯერ არ გაატანინა. უკრაინელთა მეკარემ მეორე ტაიმში ანდრეას სვენსონსაც აული 35 მეტრიდან გასროლილი.

სერგეი ნაზარენკომ კი საჯარიმოს გარედან დაჰკრა და გაიტანა. ბურთი ისეთი უცნაური ტრაექტორიით წავიდა, რომ მხოლოდ წინასწარმეტყველი მეკარე თუ გამოიცნობდა და მოიგერიებდა.

შვედებს შეცვლაზე შესული იოჰან ელმანდერი დაუშავდათ და თვითონ შესაცვლელი გახდა.

რეჰაგელი: მერე რა?

სომხეთი 0:0 საბერძნეთი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, დელასი (ანცასი 46), სპიროპულოსი (ტოროსიდისი 46), კარაგუნისი (პაცაცოღლუ 46), ბასინასი, კაცურანისი, სალპინგიდისი (გეკასი 46), ხარისტეასი, ამანატიდისი (სამარასი 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
მსაჯი: ბაბაკ რაფატი (ალბანეთი)
8 032 მაყურებელი

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონმა ბერძნებმა ამხანგურ შეხვედრებში ვერ გაიაბრწყინეს, ოტო რეჰაგელს სჯერა, რომ მისი გუნდი ავსტრია-შვეიცარიაში კარგად ითამაშებს.

„მთავარია, ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩისთვის მზად ვიყოთ — განაცხადა გერმანელმა — მეტოქე პრესინგს გვეთამაშებოდა და პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემი ფეხბურთელები შეკრებაზე ვარჯიშებისგან დაიღალნენ და ამხანაგურმა მატჩებმაც დაქანცეს. ეს მხოლოდ მორიგი მოსამზადებელი თამაში იყო და შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ“.

„ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი, მაგრამ პროფესიონალები ვართ და მომდევნო შეხვედრისთვის შეცდომებს გამოვასწორებთ“ — თქვა ბერძენთა მცველმა ხრისტოს პაცაცოღლუმ.

წაგებას და მოგებას უტრავმობა სჯობს

პოლონეთი 1:1 დანია

0:1 ვინგაარდი (28), 1:1 კრჟინოვეკი (43)
პოლონეთი: ბორუცი, ბაკი, იოპი, ვასილევსკი, ვავრჟინიაკი (გოლანსკი 46), კრჟინოვეკი (გარგულა 78), ლევანდოვსკი, დუდკა, სმოლიარეკი (საგანოვსკი 78), ჟურავსკი (გერეირო 46), ზაჰორსკი (ლობოძინსკი 46)
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
მსაჯი: ფილიპ კალტი (შვეიცარია)
40 000 მაყურებელი

„რომ მოგვეგო, ეიფორიაში არ ჩავვარდებოდით და არწაგებისგან მივეცმოდით სასოწარკვეთილებას — თქვა პოლონელთა მწვრთენლმა ლეო ბეენჰაკერმა — მთავარია, რომ არავინ დაშავდა და გერმანიასთან მატჩისთვის ფეხბურთელები არ გამოგვაკლდა“.

გასულ სამშაბათს ალბანეთის დამარცხების შემდეგ პოლონელები დანიელთა ძლევასაც აპირებდნენ, მაგრამ თამაში შემოსაბრუნებელი გაუხდათ.

იაკუბ ვავრჟინიაკის დარტყმული მეკარემ მოიგერია, ტომაშ ზახორსკიმ კი კარს ექვსი მეტრიდან ააცილა.

ზახორსკიზე უკეთესად დაუმიზნა ტომას ვინგაარდმა, ვინაც ნაკრებში მეორე მატჩს ატარებდა და თორმეტი მეტრიდან გაუტანა მასპინძლებს.

ოთხი წუთის შემდეგ მარტინ იორგენსენმა ები სმოლარეკი საპენალტედ წააქცია, თერთმეტი მეტრიდან კი მაცეი ჟურავსკიმ დაარტყა და სორენსენმა აური.

პოლონელებს გათანაბრებაში სტუმართა მცველი დაეხმარა, რომელსაც კრჟინოვეკის დარტყმული ბურთი ფეხზე მოხვდა და კარში გეზნაცვალი შევარდა.

AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

ტექნიკა სახლისთვის
სიამოვნება შენთვის!

ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად“ მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 გოლი

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ტ.ხეჩინაშვილის 13/15, ტელ.: 31 32 52

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. შვეიცარია

თუ ბარნეტა ფორმაშია...

ევროჩემპიონატის თანამასპინძელი შვეიცარია, შესაძლოა, ტურნირის ფავორიტად არ მიიჩნეოდეს — როგორც წესი, მასპინძელს რაგინდარა შეჯიბრის ფავორიტად თავიდანვე ასახელებენ — მაგრამ იაკობ კუნის გუნდი მეტოქეთათვის ხელწამოსაკრავი რომ არ იქნება, ესეც ფაქტია.

მაშ ასე, ევრო 2008-ის დაწყებამდე სულ რაღაც ხუთი დღე რჩება და წლის უმთავრეს საფეხბურთო ფორუმს სწორედ ალპელები გახსნიან — ბაზელის „სენტ იაკობ პარკზე", თბილისის დროით საღამოს 8 საათზე, კობი კუნის დამოძღვრილები ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებს დაუხვდებიან.

ჩეხეთი, პორტუგალია და თურქეთი — აი, ესენი ჰყავთ მეტოქეებად შვეიცარიელებს და თქმა იმისა, რომ ჯგუფიდან გასვლა არ შეუძლიათ, უადგილო იქნება. შეუძლიათ და რატომაც არა? მასპინძლის სტატუსი, საკუთარი სტადიონი ნაჩვევი მინდვრის საფარით და ცხადია, ქომაგობა, რომელიც საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად არაფერს დაიშურებს, თუმც წარმატების მისაღწევად მხოლოდ ეს რომ არ კმარა, ილუზიებს არც ჩვენ ვიქმნით და, მით უმეტეს, არც მწვრთნელი კუნი — 64 წლის სპეციალისტისთვის ეს ტურნირი ბოლო გამოწვევაა, რათა შემდეგ პენსიაზე თავაწეული და დამშვიდებული გავიდეს.

2001 წლიდან წვრთნის შვეიცარიის ეროვნულ გუნდს კუნი და ამ შვიდი წლის განმავლობაში იქაური საფეხბურთო კავშირის ბოსებს ერთხელაც არ შეუტანიათ ეჭვი მის კვალიფიკაციაში. რატომ? როგორც ჩანს, ნაკრებში მისი მუშაობა წარმატებულადაა აღქმული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს სანდომიანი, კეთილი კაცი (მას ასეთად იცნობენ) წინამორბედების, არტურ ჟორჟეს, როლფ ფრინგერის, ჟილბერ გრესისა და მანუელ ტროსეროს ბედს გაიზიარებდა, რომლებმაც ნაკრების სათავეში წელიწადნახევარზე მეტი ვერ გაძლეს.

კუნმა შვეიცარიის ნაკრები ოთხი წლის წინანდელ პორტუგალიურ ევროზეც ათამაშა და ორი წლის წინანდელ გერმანულ მუნდიალზეც, სადაც ალპელებმა თავი იმით დაგვამახსოვრეს, რომ ჯგუფური ეტაპის მატჩებში 390 წუთის განმავლობაში გოლი არ ჰქონდათ გაშვებული.

კობი კუნის საყვარელი სათამაშო სქემა 4-4-1-1-ია, სადაც განაპირა ნახევარმცველები უმრავლეს შემთხვევაში თავდამსხმელობას ესწრაფვიან და თამაშის მსვლელობისას ტაქტიკა 4-2-3-1-ად იქცევა ხოლმე. გამოკვეთილ ფორვარდად დორტმუნდის „ბორუსიას" რეაქტიული ფეხბურთელი ალექსანდერ ფრაი თამაშობს, რომელსაც სიღრმიდან, უკან დაწეულ თავდამსხმელად, რვა თვის წინ 23 წლის ხავიერ მარგაირასი ეშველებოდა, მაგრამ მარგაირასი დაიმტვრა, კუნმაც განცხადში მის მაგივრად ვეტერანი ჰაქან იაკინი შეიყვანა და ახლა მათზე აწყობს ჩემპიონატის დაწყებამდე სქემას. იქვეა ახალგაზრდა ერენ დერდიოკიც, რომელმაც, გეხსომებათ, სადებიუტო მატჩში, თებერვალში, ფაბიო კაპელოს ინგლისს გაუტანა გოლი „უემბლიზე", რითაც კუნის აღფრთოვანება დაიმსახურა, თუმც შვეიცარიის ნაკრების მთავარი „გამწევი ძალა" მაინც „ლევერკუზენის" ნახევარმცველი ტრანკილიო ბარნეტაა. ეს 23 წლის ფეხბურთელი თუ ფორმაშია, შვეიცარიაც სათანადოდ თამაშობს. და, რადგან ტაქტიკაზე ვსაუბრობთ, ბარემ სავარაუდო შემადგენლობაც აქვე ვთქვათ: ბენალიო — დეგენი, მიულერი, სენდეროსი, მანინი — ჟიგა, ფერნანდესი, ინლერი, ბარნეტა — იაკინი — ფრაი.

უკვე გითხარით, „ლევერკუზენის" 23 წლის ნახევარმცველი ტრანკილიო ბარნეტა თუ ფორმაშია, გუნდიც თამაშობს-თქო, მას პირობითად „გამწევი ძალაც" ვუწოდეთ. ბარნეტამ ამ ოთხეულთან — სენდეროსი, ბეჰრამი, ფონლანტენი, შტრელერი — ერთად შვეიცარიის ნაკრებს 2002 წელს ევროპის ახალგარდული ჩემპიონატი მოაგებინა და საყოველთაო აზრით, ამ უკვე დაღვინებულმა ბიჭებმა, დროა, ერთი ციცქნა შვეიცარია სერიოზული წარმატებისკენ მიიყვანონ. „ჩემპიონობა?" — უკითხავს მავან იქაურ ჟურნალისტს ბარნეტასთვის, მანაც სრული სერიოზულობით უპასუხა — რატომაც არა? თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე არაფერს გამოვრიცხავ.

ხავიერ მარგაირასი, ესპანური „ოსასუნას" პლეიმეიკერი უდავოდ დიდი დანაკარგია შვეიცარიელთათვის და მას თუ „ციურიხის" მეკარე ფაბიო კოლტორტს, ჰერტელ სტივ ვონ ბერგენსა და ჰოლანდიური „ტვენტეს" ფორვარდ ბლეიზი ნკუფოს დავამატებთ, ნათლად დავინახავთ, არც ისეა საქმე, კუნს ყველაფერი იდეალურად ჰქონდეს აწყობილი. ეს ოთხეული მართლაც რომ დიდი დანაკლისია ალპელებისთვის, თუმც: „რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. ტრავმისგან არავინაა დაზღვეული და შეუცვლელიც არავინაა". რამდენად დაეტყობა ამ ფეხბურთელთა არყოფნა შვეიცარიის ნაკრებს, აგერ თქვენ და, აგერ ევრო 2008...

გიორგი ვაშაკიძე

ტრანკილიო ბარნეტა

არის ასეთი ქვეყანა

მთიანი და მუდამ მშვიდობიანი! შვეიცარია ასეთია და კიდევ ათასგვარია. გაჩნია ფრანგული მხრიდან შეხედავ, გერმანულიდან თუ იტალიურიდან.

მთიელები და ასეთი მშვიდობიანები? მგონი, მხოლოდ შვეიცარიელ და ტიბეტელ მთიელებს არ უყვართ ომი. ამ ქვეყანას არასდროს ჰყოლია ნამდვილი, სისხლმოწყურებული არმია. სახლმწიფო ერთეულადაც კი არცთუ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა სამი დიდი ევროპული „დერეკავის" შესაყართან და თავიდანვე მთავარ დევიზად „მშვიდობა" დაიდო. თუკი იქაურ ჯელელებს მაინც მოუნდებოდათ ალებარდის და მუშკეტის ხელში აღება, ვინმე სხვა ქვეყნის მეფეს მეიქირავებოდნენ და მისი სასახლის ეზო-კარს იცავდნენ. სიტყვა „შვეიცარიც" აქედან მოდის. ევროპელებიც თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ ამ უწყინარ მხარეს ხელს არასოდეს ახლებდნენ და ომის ზღვაში მას მშვიდობის კუნძულად შემოინახავდნენ. ხელსაყრელიც იყო ეს ყველასთვის, წარმტაც მთებში დასასვენებელი კურორტები გაჩნდა, მთისპირეთში ევროპული ფულის შემნახველი ბანკები ამოიწვერა, ასე რომ, ქვეყანამ ჩხუბის გარეშეც მოიპოვა თბილი ადგილი მზის ქვეშ და არავის აწუხებს ცუდი სიმთვრალით თუ ახირებული სიფხიზლით.

კიდევ, შვეიცარიაში კარგ საათებს აკეთებენ (ესეც ხომ მშვიდობიანი პროფესიაა), დღეში 40 ლიტრ რძეს წველიან თითო ძროხას (ყველა ძროხას თავისი პასპორტი და წინაპართა ისტორია აქვს) და ბევრს კითხულობენ. შვეიცარიაში გამოცემულ წიგნებს წაწერილი აქვს გამომცემლის რჩევა, რომელი წიგნის წაკითხვა ეგების მეტროში მგზავრობისას, რომლის სამსახურში შესვენებისას და რომლის კიდევ ძილის წინ. წესრიგის გაგება იქ აი, ასეთ დონეზე და დოზაზეა ასული.

ირაკლი ფირაშვილი

მეკარეები

1	დიეგო ბენალიო	ვოლფსბურგი, გერმანია	08.09.83
18	პასკალ ცუბერბიულერი	ქსამაქსი	08.01.71
21	ელდინ იაკუპოვიჩი	გრასჰოპერი	02.10.84

მცველები

2	იოან ჯურუ	არსენალი, ინგლისი	18.01.87
3	ლუდოვიკ მანინი	შტუტგარტი, გერმანია	20.04.79
4	ფილიპ სენდეროსი	არსენალი, ინგლისი	14.02.85
5	შტეფან ლიხტშტაინერი	ლილი, საფრანგეთი	16.01.84
13	შტეფან გრიხტინგი	ოსერი, საფრანგეთი	30.03.79
17	კრისტოფ შპიხერი	აინტრახტი, გერმანია	30.03.78
20	პატრიკ მიულერი	ლიონი, საფრანგეთი	17.12.76
23	ფილიპ დეგენი	ლივერპული, ინგლისი	15.02.83

ნახევარმცველები

6	ბენიამინ ჰუგელი	ბაზელი	07.07.77
7	რიკარდო კაბანიასი	გრასჰოპერი	17.01.79
8	გიოქჰან ინლერი	უდინეზე, იტალია	27.06.84
10	ჰაქან იაკინი	იანგ ბოისი	22.02.77
14	დანიელ ჟიგა	მეცი, საფრანგეთი	28.08.81
15	ჟელსონ ფერნანდესი	მანჩესტერ სიტი, ინგლისი	02.09.86
16	ტრანკილიო ბარნეტა	ლევერკუზენი, გერმანია	22.05.85
19	ვალონ ბეჰრამი	ლაციო, იტალია	19.04.85
22	იოჰან ფონლანტენი	ზალცბურგი, ავსტრია	01.02.86

თავდამსხმელები

9	ალექსანდრ ფრაი	დორტმუნდი, გერმანია	15.07.79
11	მარკო შტრელერი	ბაზელი	18.06.81
12	ერენ დერდიოკი	ბაზელი	12.06.88

მწვრთნელი: იაკობ კუნი (64)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. ჩეხეთი

ჩეხთა ძალა ჩეხია

ჩეხეთის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი ისე გაიარა, რომ 12 მატჩში 27 გოლი გაიტანა და ოდენ 5 გაუშვა. გუნდმა 29 ქულა მოაგროვა, გერმანია ჩამოიტოვა და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

ჩეხები, როგორც წესი, 4 მცველით თამაშობენ. აი, ფორვარდების რაოდენობა კი მეტოქეზე და სიტუაციაზეა დამოკიდებული. ძირითადად მათი ტაქტიკა 4-5-1-ია. გამოკვეთილ ფორვარდად „კეთილი გიგანტი" იან კოლერია გამწესებული. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, კარელ ბრიუკნერი სქემას უპრობლემოდ გადააწყობს და ორი, ძალიან იშვიათად კი სამი ფორვარდითაც თამაშობს ხოლმე.

ჩეხებს ჩინებული განაპირა მცველები ჰყავთ და ამის გათვალისწინებით, ფლანგიდან მათი შეტევები და კოლერის მიმართულებით ჩაწოდებები ორმაგად სახიფათოა.

ტომაშ როსიცკის ტრავმა ბრიუკნერს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ნაკრების კაპიტანი და ლონდონის „არსენალის" ერთ-ერთი ლიდერი სერიოზულადაა დაშავებული და ევრო 2008-ის გამოტოვება უწევს, არადა, ბრიუკნერის სქემაში იგი საკვანძო ფიგურა გახლდათ.

პაველ ნედვედი ნაკრებში დაბრუნებაზე ვერ დაითანხმეს. ჩეხეთის ახლად გამომცხვარი ჩემპიონი „სლავიას" ერთადერთმა წარმომადგენელმა დანიელ პუდილმა ახლახან ხელი მოიტეხა და განაცხადიდან ამოვარდა. ტრავმის გამო ნაკრებში მოხვედრის შანსი დაკარგა რადეკ შირლმაც.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩეხების მთავარი პრობლემა, შესაძლოა, თავდასხმა იყოს. კოლერს რომ ბევრი შეუძლია, ვიცით, მაგრამ 35 წლის ფორვარდს კარიერის საუკეთესო წლები უკან აქვს მოტოვებული. მილან ბაროში ინგლისურ პრემიერლიგაში ჩაიკარგა და ძალიან იშვიათად თუ შეგვახსენებს თავს. ახალგაზრდა მარტინ ფენინი გასულ სეზონში გერმანული „აინტრახტის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა (16 მატჩში 4 გოლი). ბანიკელი ვაცლავ სვერკოში უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ გამოუცდელი, ნაკრების დებიუტანტი გახლავთ.

ერთი სიტყვით, ჩეხებს, წესით, ყველაზე მეტად თავდასხმაში უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, როსიცკისა და ნედვედის არყოფნაში, მათ ფანტაზიისა და შემქმნელი, მრავალმხრივი მოთამაშის დეფიციტი ექნებათ.

სიურპრიზს გამოცდილი ლიბორ სიონკოსგან უნდა ველოდოთ. როცა ასეთი მოთამაშე სათადარიგოთა სკამზე გყავს, იცი, რომ ყოველთვის შეგიძლია, მინდორზე შეუშვა და გქონდეს იმედი, რომ ის რაღაცას შეცვლის. ყველას ეიმედება 25 წლის სვერკოშისა და 21 წლის ფენინისაც.

ჩეხეთს, ტრადიციისამებრ, კარგი მეკარეები ჰყავს და გასაკვირი არ არის, რომ პეტრ ჩეხიც ამ ქვეყანაში დაიბადა. იგი ბოლო წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და დღეს, ალბათ, ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელიც. ასე რომ, ჩეხთა მთავარი ძალა სწორედ ჩეხი იქნება.

რაც შეეხება მწვრთნელ კარელ ბრიუკნერს, 68 წლის სპეციალისტი ერთი წლით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ევროპის ჩემპიონატის ყველაზე მხცოვანი სპეციალისტები ოტო რეჰაგელი და ლუის არაგონესი. ის ჩეხეთის ნაკრებს 2002 წლიდან თავკაცობს. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ბრიუკნერმა არაერთხელ სცადა გადადგომა, მაგრამ ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ არცერთხელ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ყოველ ჯერზე გადარწმუნება მოახერხა. თუმცა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ბრიუკნერი ნამდვილად მიდის.

მის ხელში ჩეხები ევრო 2004-ის ნახევარფინალში გავიდნენ, რომელიც მთლიანობაში ბრწყინვალედ ჩაატარეს და მომავალ ჩემპიონ ბერძნებთანაც კარგად ითამაშეს, მაგრამ_ დამატებით დროში ტრაიანოს დელასის ერთადერთი გოლით გამარჯვება რეჰაგელის გუნდს დარჩა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ჩეხეთმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, ბრიუკნერის გუნდს იტალიამ და განამ აჯობა. მიუხედავად ამისა, ქომაგების დიდ ნაწილს გამოცდილი მწვრთნელის კვლავ ძალიან ეიმედება.

გიორგი ძაძაბაძე

იან კოლერი

კარელ ბრიუკნერი
და პეტრ ჩეხი

არის ასეთი ქვეყანა

არის ევროპის შუაგულში ერთი პატარა და კოხტა ქვეყანა, სადაც დიდძალ ლუდს მიირთმევენ და ტანსარო ქალები ხეებივით ეზრდებათ. გასულ საუკუნეში რუსეთმა წითელი არმია დასავლეთით რომ დაძრა და ბლომად ქვეყნები გააწითლა, მაშინ ჩეხეთს აღმოსავლეთ ევროპის ნაწილად თვლიდნენ, მაგრამ ისტორიულ-გეოგრაფიულად მთლად აღმოსავლეთიც არ ეთქმის. ზევით პრუსაკ-გერმანელები ემეზობლებოდნენ, ქვევით ავსტრიელ-უნგრელები, ასე რომ, ჩეხები შუადამ შუაში და ეპიცენტრში იყვნენ და არა ერთხელ გაჭყლეტილან დიდთა დავაში თუ იმპერიალისტურ ომებში, მაგრამ არც ენა დაკარგეს, არც ხასიათი და არც თავისთავადობა. ქერა კია, მაგრამ პაველ ნედვედს იერით განა შეადარებ გერმანელს? თუმცა ჩეხეთში ცხოვრობენ ეთნიკური გერმანელებიც და რადგან საქმე ფეხბურთთან გვაქვს, მათ „წარმომადგენლად" თუნდაც იან კოლერი დავასახელოთ, რომელსაც სახეზეც და გვარზეც ეტყობა, რომ სლავი არაა.

ჩეხეთი არც შუა საუკუნეებში და არც ჩვენს დროში არასდროს ითვლებოდა დიდ მეომარ ქვეყნად, პირიქით, ხშირად ასეთი ქვეყნების ყმადნაფიცი იყო, მაგრამ იმის ძალა კი შესწევდა, რომ თავი გადაერჩინა და ლამაზი, ნამდვილი დასავლურ-ევროპული ქალაქები ეშენებინა. პრაღა ერთ-ერთი ულამაზესი დედაქალაქია და საზოგადოდ ქვეყანაც მთლად ბელგია-ჰოლანდიასავით არა, მაგრამ მაინც საკმაოდ კეთილმოწყობილიაო, ამბობენ მხილველები. წითელი ბლოკი რომ დაირღვა და ხელოვნურად შექმნილი ჩეხოსლოვაკიის გაყოფაზე მიდგა საქმე, ჩეხები და სლოვაკები ორი კარგი ძმასავით მშვიდობიანად, ტყვიის გაუსროლელად გაიყარნენ და 2004 წელს ევროკავშირმა ორივე ასე ერთად და ცალ-ცალკე მიიხუტა თავის ფართო მკერდზე.

ირაკლი ფირაზმვილი

მეკარეები

1	პეტრ ჩეხი	ჩელსი, ინგლისი	20.05.82
16	იარომირ ბლაჟეკი	ნიურნბერგი, გერმანია	29.12.72
23	დანიელ ჟიტკა	ანდერლეხტი, ბელგია	20.06.75

მცველები

2	ზდენეკ გრიგერა	იუვენტუსი, იტალია	14.05.80
5	რადოსლავ კოვაჩი	სპარტაკი, რუსეთი	27.11.79
6	მარეკ იანკულოვსკი	მილანი, იტალია	09.05.77
12	ზდენეკ პოშპეხი	კოპენჰაგენი, დანია	14.12.78
13	მიხალ კადლეცი	სპარტა	13.12.84
18	ტომაშ შივოკი	სპარტა	15.09.83
21	ტომაშ უიფალუში	ფიორენტინა, იტალია	24.03.78
22	დავიდ როზენალი	ლაციო, იტალია	05.07.80

ნახევარმცველები

3	იან პოლაკი	ანდერლეხტი, ბელგია	14.03.81
4	ტომაშ გალაშეკი	ნიურნბერგი, გერმანია	15.01.73
7	ლიბორ სიონკო	კოპენჰაგენი, დანია	01.02.77
14	დავიდ იაროლიმი	ჰამბურგი, გერმანია	17.05.79
17	მარეკ მატეიოვსკი	რედინგი, ინგლისი	20.12.81
19	რუდოლფ სკაჩელი	ჰერტა, გერმანია	17.07.79
20	იაროსლავ პლაშილი	ოსასუნა, ესპანეთი	05.01.82

თავდამსხმელები

8	მარტინ ფენინი	აინტრახტი, გერმანია	16.04.87
9	იან კოლერი	ნიურნბერგი, გერმანია	30.03.73
10	ვაცლავ სვერკოში	ბანიკი	01.11.83
11	სტანისლავ ვლჩეკი	ანდერლეხტი, ბელგია	26.02.76
15	მილან ბაროში	პორტსმუთი, ინგლისი	28.10.81

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი (68)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. პორტუგალია

ნაკრები, რომელსაც რონალდუ ჰყავს

პორტუგალიის ნაკრებს შესარჩევი ეტაპი რიხინ-რიხინით არ გაუვლია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ტყუილად არ ითვლება. ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდებს დიდი პოტენციალი აქვთ. ოთხი წლის წინ პორტუგალია საკუთარ კედლებში ფინალში დამარცხდა საბერძნეთთან და ახლა ტიტულის მოპოვებას ხელახლა ეცდება.

სკოლარის ორი პრობლემა აქვს — ცაცია მარცხენა მცველი და ცენტრფორვარდი. თუმცა ბრაზილიელი სპეციალისტი მეტ-ნაკლებად ორივეს უმკლავდება.

ნაკრების მთავარი ფორვარდი „ბენფიკას“ ვეტერანი ნუნუ გომეშია. მის გარდა, სკოლარის მხოლოდ ორი სუფთა თავდამსხმელი ჰყავს — ელდერ პოშტიგა და უგო ალმეიდა. საუკეთესო ფორმაში არცერთი მათგანი არ არის და მათ თავიანთ კლუბებშიც გარკვეული პრობლემები აქვთ, ძირითად შემადგენლობაში სისტემატიურად მოხვედრასთან დაკავშირებით.

ამ პრობლემას ნაწილობრივ ანაზღაურებს საოცრად ძლიერი და შემტევი ნახევარდაცვა. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ერთი სახელისა და გვარის დასახელებაც საკმარისია — „კრიშტიანუ რონალდუ... „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი დღეს პლანეტის საუკეთესო მოთამაშეა და მთელ პორტუგალიას მისი ძალიან ეიმედება.

რაც შეეხება დაცვის მარცხენა ფლანგს, იქ სკოლარი ჟოზე ბოსინგვას ან პაულუ ფერეირას ათამაშებს ხოლმე. უშუალოდ ამ ამპლუის მოთამაშე კი ნაკრებში ჟორჟე რიბეირუა და თუ მწვრთნელი 26 წლის ფეხბურთელს ნდობას გამოუცხადებს, ვინ იცის, ეგებ სწორედ ის გახდეს ავსტრია-შვეიცარიაში პორტუგალიელთა მთავარი სიურპრიზი. ამ წოდებაზე პრეტენზია ჟოზე მოუტინიუსაც აქვს...

მთავარი მოულოდნელობა განაცხადში ჟორჟე რიბეირუს უფროსი ძმის, მანიშეს არყოფნაა, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი „ინტერის“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა, არადა, შესარჩევ ეტაპზე ნაკრების რეგულარული წევრი გახლდათ. ძირითად შემადგენლობაში მანიშეს პოზიციაზე მოუტინიუს ვიხილავთ. 22 წლის სპორტინგელისგან ბევრს ელიან.

როგორც წესი, „ევროპელი ბრაზილიელების“ ტაქტიკა უცვლელია — 4-3-2-1. გამოკვეთილი ფორვარდი ნუნუ გომეშია, რომელსაც ორი შემტევი ნახევარმცველი ეხმარება. აქედან ერთი მრავალმხრივი და საოცრად ნიჭიერი რონალდუა, მეორე კი ნანის, რიკარდუ კუარეშმასა და სიმაუ საბროსას შორის ერთ-ერთია.

სკოლარი მინდვრის გვედით ხაზთან ზემდეტად ემოციურია, ხშირად ნერვებს ვერ თოკავს და შეუძლია, მუშტი-კრივიც კი გააჩაღოს, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ წარმატებული ბრაზილიელი სპეციალისტი თავისი საქმის მართლაც ჩინებულად მცოდნეა და ნებისმიერთან გაჯიბრება შეუძლია. ბრაზილიელმა სამი ბრწყინვალე ფეხბურთელის, რიკარდუ კარვალიუს, დეკუსა და რონალდუს გარშემო ჩინებული გუნდი შეკრა. მის ხელში პორტუგალიამ აშკარა პროგრესი განიცადა, სტაბილურად ათამაშდა და, რაც მთავარია, ფეხბურთელებმა საკუთარი შესაძლებლობების ირწმუნეს, მათ გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ. სწორედ ეს აკლდა რუი კოშტას, ლუიშ ფიგუს, ჟოაუ პინტუსა და ვიტორ ბაიას თაობის ასევე ვარსკვლავურ ნაკრებს.

როგორც უკვე ვახსენეთ, 2004 წელს პორტუგალია ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა საბერძნეთთან. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი სკოლარის შეგირდებმა ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც საფრანგეთთან დამარცხდნენ, მესამე ადგილისთვის მატჩი კი მასპინძელ გერმანიასთან წააგეს. მას მერე, სკოლარიმ ნაკრები უფრო მეტად გააახალგაზრდავა, მაგრამ არ დაუსუსტებია.

„ზუსტად ისეთივე მოლოდინი მაქვს, როგორც ევრო 2004-ის წინ. უბრალოდ, ახლა ბიჭები საკუთარ ძალებში მეტად დარწმუნებულნი არიან. მე მათი მჯერა. ფეხბურთელებმა იციან, რას ნიშნავს კარგი თამაში და იციან, რომ შრომის გარეშე ვერც ჯგუფიდან გავლენ და მით უმეტეს, უფრო შორსაც ვერ წავლენ“ — თქვა სკოლარიმ, რომელიც ევრო 2008-ის მერე პოსტიდან მიდის.

კოკი კანდელაკი

კრიშტიანუ რონალდუ

ლუიშ ფელიპე სკოლარი (მარჯვნივ) პორტუგალიური კარიერის სმაურიანად დასრულებას გეგმავს

არის ასეთი ქვეყანა

პორტუგალია ევროკავშირის ერთ-ერთი პირველი წევრია, ევროპული მასშტაბით მაინც ღარიბ და ხშირად ჩამორჩენილ ქვეყანადაც კი მოიხსენიებენ, მაგრამ კარგად იცით, რომ ყველაფერი შედარებითია და ჩვენი გაგებით პორტუგალია სულაც არაა ღარიბი. ამ ქვეყნის ეკონომიკა რომ წამოეწიათ, სხვა ევროპელებმა მას 2004 წელს კონტინენტის ჩემპიონატის ჩატარების უფლება უწყალობეს და სხვა მხრივაც ხელს უმართავენ, მოდი, დაგვეწიეო.

პორტუგალია ყოველთვის პატარა გაქანების ქვეყანა იყო, თუნდაც ზორბა მეზობელ ესპანეთთან შედარებით, ერთი ციცქნა მოჩანდა, მაგრამ თავისას ცდილობდა და რაღაც გამოსდიოდა. ლუზიტანიელებს კასტილიელებისგან განსხვავებით კონტინენტზე ჰეგემონობის პრეტენზია ვერაფრით გაუწნდებოდათ, ამიტომ ჩასხდნენ პატარა კარაველებში, პირჯვარი გადაიწერეს და აფრები აუშვეს. ისევე როგორც ანტიკური ფინიკიელები მოედვნენ ხმელთაშუა ზღვას, პორტუგალიელებიც ასე ეძებდნენ თავიანთ ბედს და ახალ ნავთსაყუდელს მსოფლიო ოკეანის სულ სხვა და სხვა უბეებში. სამხრეთ ამერიკისთვის დავაში ესპანელებს ბრაზილიის სანაპირო დაათმობინეს, აფრიკაში მოზამბიკი და ანგოლა დაიპყრეს, ინდოელებს მრავალი ტომარა სანელებელი წაჰგლიჯეს და ჩინეთამდეც კი მიცურდნენ. კი, ისინი ახალი ქვეყნებისთვის ნამდვილი დამპყრობლები იყვნენ და ბევრგან როდი დატოვეს კარგი სახელი, მაგრამ ამავე დროს იყვნენ თამამი ნაოსნებიც და აღმომჩენები. პორტუგალიელმა ვასკო და გამამ პირველმა შემოუარა ვეებერთელა აფრიკას და სხვა სამყაროში გაიჭრა, პირველად პორტუგალიური გემებით და ეკიპაჟით გადაკვეთა კოლუმბმა ატლანტიკა. ასე რომ, პორტუგალიელებმა თავისი, არცთუ უმნიშვნელო თავი ჩაწერეს კაცობრიობის ისტორიაში.

ირაკლი ფირაზვილი

მეკარეები

1	რიკარდუ პერეირა	ბეტისი, ესპანეთი	11.02.76
12	ჟოაკიმ კიმი	ბენფიკა	13.11.75
22	რუი პატრისიო	სპორტინგი	15.02.88

მცველები

2	პაულუ ფერეირა	ჩელსი, ინგლისი	18.01.79
3	ბრუნო ალვეში	პორტუ	27.11.81
4	ჟოზე ბოსინგვა	პორტუ	24.08.82
5	ფერნანდუ მეირა	შტუტგარტი, გერმანია	05.06.78
13	ლუიშ მიგელი	ვალენსია, ესპანეთი	04.01.80
14	ჟორჟე რიბეირუ	ბოავიშტა	09.11.81
15	კლეპერ პეპე	რეალი, ესპანეთი	26.02.83
16	რიკარდუ კარვალიუ	ჩელსი, ,ინგლისი	18.05.78

ნახევარმცველები

6	რაულ მეირელეში	პორტუ	17.03.83
7	კრიშტიანუ რონალდუ	მანჩესტერი, ინგლისი	05.02.85
8	არმანდუ პეტიტი	ბენფიკა	25.09.76
10	ჟოაუ მუტინიუ	სპორტინგი	08.09.86
11	სიმაო საბროსა	ატლეტიკო, ესპანეთი	30.10.79
17	რიკარდუ კვარესმა	პორტუ	26.09.83
18	მიგელ ველოზო	სპორტინგი	11.05.86
19	ლუიშ ანდერსონ ნანი	მანჩესტერი, ინგლისი	17.11.86
20	დეკუ სოუზა	ბარსელონა, ესპანეთი	27.08.77

თავდამსხმელები

9	უგო ალმეიდა	ვერდერი, გერმანია	23.05.84
21	ნუნუ გომეში	ბენფიკა	05.07.76
23	ელდერ პოშტიგა	პანათინაიკოსი, საბერძნეთი	02.08.82

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი (59)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, გის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. თურქეთი

იმპერატორის დაბრუნება თორმეტი წლის შემდეგ

თურქეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მესამედ ითამაშებს.

პირველად გუნდი ევროზე 1996 წელს ფათიჰ თერიმმა გაიყვანა, რომელიც ამჟამადაც ნაკრების მწვრთნელია.

მაშინ ოსმალოებმა ჯგუფში სამივე თამაში წააგეს, მაგრამ 2000-ში, როცა ნაკრებს მუსტაფა დენიზლი თავკაცობდა, მეოთხედფინალში გავიდნენ და პორტუგალიასთან დამარცხდნენ, ვისაც 7 ივნისს ჟენევაში შეხვდებიან.

ევრო 2004-ისკენ თურქებს გზა ლატვიამ პლეი ოფში გადაუღობა და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ მოხვდნენ — ასევე პლეი ოფში შვეიცარიასთან წააგეს.

მოკლედ, ოსმალოებმა ორი დიდი ტურნირი გამოტოვეს და ახლა კვლავ გაერივნენ უძლიერესთა მარაქაში, მაგრამ ევრო 2008-ის შესარჩევში ბეწვის ხიდზე გაიარეს.

საკვალიფიკაციო ტურნირი ზედიზედ ოთხი მოგებით დაიწყეს, მაგრამ მერე აურიეს და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ბოლოსწინა ტურში სტუმრად ნორვეგიასთან აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ.

იმ მატჩს თერიმის გუნდი 0:1-ს აგებდა, მაგრამ ემრესა და ჰამით ალთინთოფის გოლებით იმარჯვა. შესარჩევის ბოლო შეხვედრაში შინ ბოსნია დაამარცხეს და საბერძნეთის შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ასე შეინარჩუნა „იმპერატორმა" ფათიჰ თერიმმა პოსტი.

თერიმი ნაკრებს 2005 წლის ივნისიდან წვრთნის. 2007-ის დეკემბერში თურქეთის პარლამენტის პროქურთული პარტიის წევრმა სიირი საქიქმა „იმპერატორის" ხელფასის გადახედვა მოითხოვა. რატომ იღებს პატივცემული მწვრთნელი მინიმალურ ჯამაგირზე (1000 დოლარი) 130-ჯერ მეტსო. ფათიჰ თერიმის ხელფასი თვეში 130 ათასი დოლარია. პარლამენტმაც გაარჩია საქმე და დაადგინა, რომ „იმპერატორის" ჯამაგირზე ლაპარაკმა შეიძლება ნაკრებზე ცუდად იმოქმედოსო და, საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღო.

თურქებმა ევროპის ჩემპიონატამდე სამი ამხანაგური მატჩი ითამაშეს. სლოვაკეთს 1:0 მოუგეს, მერე ურუგვაისთან 2:3 დამარცხდნენ და გასულ ხუთშაბათს ფინეთს 2:0 სძლიეს.

აქამდე გუნდის კაპიტანი „ბოსფორის ბუღა" ჰაქან შუქური იყო, მაგრამ 36 წლის ფორვარდისთვის ნაკრებში ადგილი აღარ გამოინახა და სამკლავური ემრე ბელოზოღლუმ მოირგო.

ევრო 2008-ის შესარჩევის დასაწყისში კარში რუშთუ რეჩბერი იდგა, თუმც მისმა ტრავმამ ძირითადი შემადგენლობისკენ გზა ვოლქან დემირელს გაუხსნა.

დაცვის ცენტრში სერვეთ ჩეთინი და გიოქჰან ზანი თამაშობენ. ჯანიანი ბიჭები კი არიან, მაგრამ სისწრაფეში მოიკოჭლებენ. მათი კონკურენტია. ემრე აშიკი, ვისაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მიღებული გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

გასული სეზონის აღმოჩენა იყო „ბეშიქთაშის" ფეხბურთელი გიოქჰან გონული, რომელმაც თერიმს მარჯვენა მცველის პრობლემა მოუგვარა.

მარცხენა მცველი გალათასარაელი ჰაქან ბალათაა, თუმც ამ პოზიციაზე პრეტენზია აქვს უღურ ბორალს „ფენერბაჰჩედან", ვინაც შეტევებში კარგად ერთვება.

ადრე თერიმი ჰამით ალთინთოფს მარჯვენა მცველადაც ათამაშებდა, მაგრამ საბოლოოდ შუა ხაზში ასწია.

ნახევარდაცვის ცენტრს მწვრთნელი ემრე ბელოზოღლუს და გათურქებულ ბრაზილიელს მეჰმეთ აურელიოს ანდობს.

ფლანგებიდან შემტევნი არიან გიოკდენიზ კარადენიზი, არდა თურანი ან თუმერ მეთინი. სამივე საკმაოდ სწრაფია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან სწორხაზოვანნიც არიან და ფანტაზია აკლიათ.

ფათიჰ თერიმის გუნდი 4-3-1-2-ით, 4-1-3-2-ით და იშვიათად 4-1-2-1-2-ით თამაშობს. რაკი ჰაქან შუქური ნაკრებს მიღმა დარჩა, გუნდის ტაქტიკა შესაძლოა ოდნავ შეიცვალოს. „ბოსფორის ბუღას" მაღალი პასებით ამარაგებდნენ, ახლა კი გუნდში მისი მსგავსი კარგი მოთავურე აღარაა.

სამაგიეროდ თერიმს შუქურზე სწრაფი მეგოლეები ჰყავს—ნიჰათი, თუნჯაი შანლი და თურქეთის ჩემპიონატის გასული სეზონის ბომბარდირი (17 გოლი) სემიჰ შენთურქი.

ამ სამეულიდან, რაღა თქმა უნდა, საუკეთესოა „ვილიარეალის" ფორვარდი ნიჰათი, რომლის გოლების წყალობითაც „ყვითლებმა" პრიმერადივიზიონში მეორე ადგილი დაიკავეს.

ემრე ბელოზოღლუ, ნიჰათი, ჰამით ალთინთოფი და თუნჯაი — აი, ესენი არიან გუნდის ლიდერები და ბევრი რამ სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული, თუმც ალთინთოფს ტრავმის გამო თვეზე მეტი გაუცდა და ჯერჯერობით ფორმაში ვერაა.

ფათიჰ თერიმმა გამოცდილი ილდირაი ბაშთურქი ნაკრებს მიღმა დატოვა, რადგან „შტუტგარტის" ნახევარმცველი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე დაშავდა და სათამაშო პრაქტიკა აკლდა.

სამაგიეროდ, თურქთა გასაკვირად, „იმპერატორმა" „სოშოს" 21 წლის ფორვარდი მევლუთ ერდინჩი წაიყვანა ევრო 2008-ზე. ფეხბურთელი, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა და „სოშოს" უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. მან თურქეთის ნაკრების მაისურა ჯერჯერობით მხოლოდ სამჯერ მოირგო.

ერდინჩი საფრანგეთშია დაბადებული და შეეძლო ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში ეთამაშა, მაგრამ ისტორიული სამშობლოს ვარსკვლავთვარიანი დროშის ქვეშ თამაში ამჯობინა.

ვაჟა ხუციშვილი

არის ასეთი ქვეყანა

ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრებთან თურქები გამოჩნდნენ და, იცოცხლეთ, მოვასწარით მათი გაცნობა. ყოველთვის როდი იყვნენ კეთილი მეზობლები. სიმართლე ითქვას, თითქმის არასდროს ყოფილან და ნება რომ მიგვეცა, საქართველოშიც დაგვისახლდებოდნენ. რაც შუა აზიის სტეპებიდან დაიძრნენ ჯერ თურქ-სელჯუკები, შემდეგ კი ოსმან-ოსმალები, მას მერე საბოლოოდ დაკარგეს ქართველებმა მოსვენება. ჩვენ კიდევ კარგად გადავრჩით, აგერ, რამხელა ბიზანტია ჩაყლაპეს და მე-15 საუკუნიდან ევრო-აზიის გზაჯვარედინზე მოირთხეს ფეხი. აია-სოფიას ვეება გუმბათს ჯვარი ჩამოხსნეს და ნახევარმთვარე დაასვეს და ჩვენც მას მერე გაგვიწყდა კავშირი კულტურულ ევროპასთან. თვითონ ევროპასაც ემწარა თურქული ჩუგლუგი. ბალკანეთს გასცდნენ და ავსტრო-უნგრეთსაც კი მისწვდნენ თურქული კოჰორტები და ბებერმა კონტინენტმა იგრძნო, რომ უჯიგრო და მორყეული ბიზანტიის ნაცვლად ახალი, არცთუ მშვიდობიანი, საჩხუბრად მუდამ მზადმყოფი ძალა გაუმეზობლდა.

დრომ, ასე თუ ისე, მაინც ჩააცხრო თურქთა მომთაბარული ვნებანი. ბოლო ასი წელია, ანუ მას შემდეგ, რაც ქემალ ათათურქმა აზიური ხალათი გახადა და ევროპული კოსტუმი ჩააცვა, თურქები დიდ ევროპულ ოჯახში ჩაწერას მშვიდობიანი ხერხებით ცდილობენ. დღეს თურქეთი ევროკავშირს კარზე უკაკუნებს და ეუბნება, აგერ ეკონომიკა გავმართე, ევროპელ ტურისტებს ზღვის პირას სასტუმროები ავუშენე, სტამბოლი ხომ მთლად ევროპად ვაქციე და ნატოშიც ხომ რამდენი ხანია, ვარ და ვარ, ჰოდა, შენთანაც მიმიღეო, თუმც კავშირი კარსიქიდან ესაუბრება და თურქთა მოთმინებას დიდ გამოცდას უწყობს.

ირაკლი ფირაშვილი

	მეკარეები		
1	რუშთუ რეჩბერი	ბეშიქთაში	10.05.73
12	თოლგა ზენგინი	ტრაბზონსფორი	10.10.83
23	ვოლქან დემირელი	ფენერბაჰჩე	27.10.81
	მცველები		
2	სერვეთ ჩეთინი	გალათასარაი	17.03.81
3	ჰაქან ბალთა	გალათასარაი	23.03.83
4	გიოქჰან ზანი	ბეშიქთაში	07.09.81
13	ემრე გიუნგორი	გალათასარაი	08.01.84
15	ემრე აშიქი	ანკარასფორი	13.12.73
16	უღურ ბორალი	ფენერბაჰჩე	14.04.82
20	საბრი სარიოღლუ	გალათასარაი	26.07.84
	ნახევარმცველები		
5	ემრე ბელოზოღლუ	ნიუკასლი, ინგლისი	07.09.80
6	მეჰმეთ თოფალი	გალათასარაი	03.03.86
7	მეჰმეთ აურელიო	ფენერბაჰჩე	15.12.77
10	გიოქდენიზ კარადენიზი	რუბინი, რუსეთი	11.01.80
11	თუმერ მეთინი	ლარისა, საბერძნეთი	14.10.74
14	არდა თურანი	გალათასარაი	30.01.87
19	აიჰან აქმანი	გალათასარაი	23.02.77
21	მევლუთ ერდინჩი	სოშო, საფრანგეთი	11.01.80
22	ჰამით ალთინთოფი	ბაიერნი, გერმანია	08.12.82
	თავდამსხმელები		
8	ნიჰათ კაჰვეჩი	ვილიარეალი, ესპანეთი	23.11.79
9	სემიჰ შენთურქი	ფენერბაჰჩე	29.04.83
17	თუნჯაი შანლი	მიდლსბრო, ინგლისი	16.01.82
18	კაზიმ კაზიმ-რიჩარდსი	ფენერბაჰჩე	26.08.86

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი (55)

ფათიჰ თერიმი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ… შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასდაკლება ლივერპულში

„ლივერპული“ პიტერ კრაუჩში 15 მილიონ გირვანქას ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ, უკან დაიხია და ფასი დააკლო. შედეგად, ინგლისის ნაკრების ფორვარდს „პორტსმუთისკენ“ გზა ეხსნება.

„პორტსმუთმა“ მერსისაიდელებს თავიდან 7 მილიონი შესთავაზა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს, ახლა კი, როდესაც „ლივერპული“ ვაჭრობაში აყვა, შესაძლოა, საქმე 10 მილიონად მოგვარდეს. და თუ გარიგება შედგება, „ფრეტონ პარკზე“ პიტერ კრაუჩისა და ჯარმეინ დეფოს მეტად საინტერესო წყვილს ვიხილავთ.

27 წლის კრაუჩმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო „ლივერპულიდან“ წასვლაზე ლაპარაკი, რადგან ხედებოდა, რომ ამ გუნდის ძირითადში მოხვედრა გაუჭირდებოდა, სათამაშო პრაქტიკის გარეშე კი ნაკრებშიც დაკარგავდა ადგილს. მისდა სამწუხაროდ, მერსისაიდელებმა მაშინ დათქმულ ფასს პენიც არ დააკლეს, რის გამოც კრაუჩს „ენფილდ როუდზე“ მთელი სეზონის ფერანდო ტორესის შემცვლელად გატარება მოუხდა.

კრაუჩის შეძენით თავიდან „ასტონ ვილა“ გახლდათ დაინტერესებული. ბირმინგემელებთან საქმის დაჭერა რაფა ბენიტესს თითქოს ულირდა, რადგან „ლივერპულს“ გარეთ ბერის შეძენა სურს და გაცვლის ვარიანტის მოფიქრება შეიძლებოდა, მაგრამ ეს გეგმა რატომღაც ჩაიშალა და დღის წესრიგში „პორტსმუთის“ ვარიანტი დადგა, „პორტსმუთი“ კი პიტერ კრაუჩის ყოფილი გუნდია, აქ მას საუკეთესო სეზონი აქვს გატარებული. მერედა, პორტსმუთელები აყლაყუდა ფორვარდს ხელფასად კვირაში სრულიად მომხიბვლელ 60 ათას გირვანქას სთავაზობენ.

„ლივერპულში“ პიტერ კრაუჩი ყველას გასაკვირად, 2005 წელს „საუთჰემპტონიდან“ მოხვდა და უნდა ითქვას, რომ როდესაც ათამაშებდნენ, გოლების გატანას არ აყოვნებდა: 135 შეხვედრაში 42-ჯერ შეაგდო.

ახლა, მისი გაყიდვით მიღებულ ფულს მერსისაიდელთა თავკაცი რაფა ბენიტესი ხაბი ალონსოს „იუვენტუსში“ სავარაუდო გაყიდვით მიღებულ თანხას დაამატებს, რასაც ზედ ჯერმეინ პენანტისა და იონ არნე რიისეს გასხვისებით მიღებულ თანხებსაც დაამატებს და სასურველ შენაძენათა სიიდან დაიწყებს ხალხის გადაბირებას.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ბენიტესს „ასტონ ვილადან“ გარეთ ბერის ყიდვა სურს. კიდევ, მის სიაში არის „უდინეზეს“ მარცხენა მცველი ანდრეა დოსენა, ხოლო შვეიცარიელი მარჯვენა მცველი ფილიპ დეგენი უკვე ლივერპულელია, ის „დორტმუნდიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვიდა.

რიისეზე ასეთი რამის თქმა შეგვიძლია: მისი შეძენით დაინტერესებულნი იყვნენ „ასტონ ვილა“ და „ნიუკასლი“, მაგრამ თავად ფეხბურთელს თვალი მაინც დარჩენისკენ უჭირავს.

„პორტსმუთის“ მწვრთნელ ჰარი რედნაპს, როგორც ამბობენ, „ლივერპულში“ კიდევ აქვს ინტერესი. ეს გახლავთ 25 წლის სათადარიგო მეკარე შარლ იტანჯე, რომელსაც „ენფილდ როუდზე“ დარჩენა აღარ სურს. ეს იტანჯე ლივერპულელებმა შარშან ფრანგული „ლანსიდან“ გადაიბირეს და თავიდანვე პეპე რეინას შემცვლელად ჰყავდათ გაწესებული, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციისა და კარლინგის თასებზე შვიდი თამაში მაინც დაუგროვდა. ახლა, როგორც ჩანს მეტი უნდა.

იტანჯეს ყიდვა „რენსა“ და „ლილსაც“ უნდათ.

იტანჯე: „მე თამაში მჭირდება. დიდ კლუბში ცხოვრებამ ბევრი შემძინა, მაგრამ ახლა მოედანზე უნდა დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები“.

პაპუნა კედია



მილანელი ფერგიუსონი

იტალიური და ინგლისური წყაროები ერთსულოვანნი არიან: „ჩელსის“ კარლო ანჩელოტის გადაბირება სურდა, მაგრამ უარი მიიღო.

მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ჟურნალისტებს ასე უთხა:

„ანჩელოტი მილანში თავს საუცხოოდ გრძნობს. გარდა ამისა, ჩვენ ფეხბურთელებს არ ვყიდით და მწვრთნელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“.

გალიანის არ დაუმალავს, რომ „ჩელსიმ“ „მილანის“ თავკაცისადმი ინტერესი თვალსაჩინოდ გამოხატა:

„დიახ, ანჩელოტი ლონდონელთა სიაში იყო. ისიც მართალია, რომ ამ სიაში კიდევ ერთი იტალიელი მწვრთნელია, თუმცა მე ანჩელოტიზე შემიძლია საუბარი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის ჩვენთან კიდევ მრავალ წელიწადს დარჩება. შეხედეთ ალექს ფერგიუსონს. იყო წლები, როდესაც მისი ხელმძღვანელობით „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვერაფერს იგებდა, მაგრამ ეს ადამიანი და კლუბი სრულ ჰარმონიაში იყვნენ. კარლოსთან დაკავშირებითაც მეტი რა გინდათ? ის ხუთი წელიწადი „მილანის“ ფეხბურთელი, რვა წალიწადი კი მწვრთნელი გახლდათ“.

რაც შეეხება მეორე იტალიელ მწვრთნელს „ჩელსის“ სიიდან, რა მიხვედრა უნდა, რომ საუბარი რობერტო მანჩინიზეა.

პაპუნა კედია

ეტოო შარშია



„ინტერის“, „მილანისა“ და სხვა კლუბების სამიზნე სამუელ ეტოო შარში გეხვია. „ბარსელონას“ 27 წლის ფორვარდი ახლა ეროვნულ ნაკრებთან ერთად შეკრებაზეა, თუმც, შესაძლოა, გარკვეული პერიოდით დისკვალიფიკაციითა და ფულადი ჯარიმით დასაჯონ.

საქმე ის არის, რომ კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში გამართულ პრესკონფერენციაზე ეტოომ კამერუნის ფეხბურთის ფედერაციისადმი პროტესტის ნიშნად კითხვებზე პასუხის გაცემა იუარა. თუმცა ჟურნალისტმა ფილიპ ბონიმ მას პროვოკაციული კითხვების კორიანტელი დააყენა და ვარსკვლავი გააღიზიანა.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ეტოო ჟურნალისტს მიჰპარვია და მისთვის თავი დაურტყამს. სამართალდამცავებსა და კამერუნის ნაკრების წევრებს მყისვე ვიდეოკამერები და მობილური ტელეფონები ჩამოურთმევიათ ჟურნალისტებისთვის, რათა იმ ინციდენტის ფოტოვიდეო მასალა ტელევიზიაში არ მოხვედრილიყო.

„მან ძალიან ძლიერად დამარტყა ზედა ტუჩში. ერთი კბილი მომტყდა“ — თქვა ბონიმ, რომელმაც უსიამოვნო ინციდენტისას მარცხენა ხელის მცირე დაზიანებაც მიიღო.

ჯერჯერობით უცნობია, რად დაუჯდება ეტოოს ეს აგრესია. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, მას „ბარსელონას“ უფროსობასა და რამდენიმე ფეხბურთელთანაც კონფლიქტი აქვს და ამიტომ, „კამპ ნოუდან“ წასვლას აპირებს.

კოკი კანდელაკი

ძამბროტა შავ-წითელია

ჯანლუკა ძამბროტა „მილანის“ ფეხბურთელია. „ბარსელონაში“ გატარებული არცთუ წარმატებული პერიოდის მერე, 31 წლის მცველი სამშობლოში ბრუნდება. იტალიური პრესის ცნობით, „როსონერის“ ექსვიუვენტუსელი 10-11 მილიონი ევრო დაუჯდა. ძამბროტამ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში დაახლოებით 4,5 მილიონ ევროს მიიღებს.

„ჯანლუკას ყოველდღე ველაპარაკებოდით, რადგან ძალიან გვინდოდა მისი ყიდვა და საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. მისი შეძენა ათი წლის წინაც შეგვეძლო და 2006 წელსაც, მაგრამ... 1998 წელს ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, როცა „ბარის“ პრეზიდენტმა ვინჩენცო მატარეზემ გვითხრა, „იუვენტუსიც“ იმდენივეს იხდისო. ჩვენ პარალელურად სერჟინიოსთან ვმართავდით მოლაპარაკებას და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, ჯანლუკა ტურინელებისთვის დაგვეტოვებინა. ასეა თუ ისე, ახლა ძამბროტა ჩვენთანაა და ძალიან გვიხარია. მას ორივე ფლანგზე თამაში შეუძლია და ბრწყინვალე ფეხბურთელი რომაა, თავადაც კარგად იცით“ — თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ასე რომ, „როსონერიში“ ცვლილებები გრძელდება. გუნდმა მატიე ფლამინი და ძამბროტა დაიმატა. მარკო ბორიელო „ჯენოადან“, ხოლო კრისტიან აბიატი „ატლეტიკოდან“ დაიბრუნა. გაშვებით „მილანმა“ სერჟინიო, კაფუ, ვალერიო ფიორი, რიკარდუ ოლივეირა, იბრაჰიმ ბა და ალბერტო ჯილარდინო გაუშვა, იონ გურკუფი კი „ბორდოში“ გაანათხოვრა.

„მნიშვნელოვანია, წამყვანი მოთამაშეები შევინარჩუნოთ და ახლები დავიმატოთ. რაც შეეხება მეკარეებს, გავუშვით ფიორი და დავაბრუნეთ აბიატი, გვყავს ნელსონ დიდა და ჟელკო კალაჩი. დაცვიდან სერჟინიოს და კაფუს დავემშვიდობეთ. სამაგიეროდ, ძამბროტა მოვიდა. ნახევარდაცვაში გურკუფი კი დავკარგეთ, მაგრამ ფლამინით გავძლიერდით. თავდასხმაში ბორიელო დავიბრუნეთ, ვინც გასულ სეზონში უფრო მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე „იუვენტუსის“ შენაძენმა ამაურიმ. ვნახოთ, კიდევ რა მოხდება...“ — დასძინა გალიანიმ.

კოკი კანდელაკი

ცოცხალიზაცრორი

1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი — წყვილი — შედეგი — კოეფ-ტი — სისტ

— შენ ტენისის აზრზე ხარ, ძმაო?
— ნასტოლნი, ტო?
— ნასტოლნი არა, პადსტოლნი... ეხლა რო მიდის პარიზში.
— ასვალტზე?
— რა ასვალტზე, თუ ძმა ხარ, ორი გეიმი ტვინი არა გაქ. თიხაზე, შე ჩოგანო, თი-ხა-ზე!...
— ეგრე გეთქვა, ტო, როგორ არა! ლუბოი ფუტბალ... ტენისისტი ან ტენისისტკა მითხარი და სტატისტიკას მე გეტყვი. უეჭველები იცი რამე?
— პრაფესორობას იბრალებ და ეს იანკოვიჩი და ივანოვიჩი ბიძაშვილები არიან?
— ბეზ ბაზარა.
— ნაღდი იცი?
— იასნია, ტო, მაგათთან ოჯახში ვარ ნამყოფი საგვარეულოს შარაფში. დაჲე ჩოგნით ყველა იჩის სადღეგრძელო დამილევია.
— შენ მაგარი ინფორმაცია გცოდნია, ძმაო, არ გააბაზრო...
— რა პონტში?
— ივანოვიჩი დღეს შნიდერს ხვდება, იანკოვიჩი სუარეს ნავაროს ეთამაშება...
— კარგი, რა, ტო, ნუ წელავ ტაიბრეიკივით, ორივეს მოგება წყვილად ავიღო?
— რა წყვილად, ძმაო, ბნელად ხო არა ხარ, ბიძაშვილებს ერთად ვინ მოაგებინებს...
— ზნაჩიტ ერთი ტეხავს?
— ვა! პრაფესორ! მოწვი?
— ეგ კი არა, ტო, ვიხადნოებზე „დრავა პტუი"-„დომჟალეს" 0:6 მოვწვი, მარა მალავი-ჯიბუტის იქსდვამ წამაგებინა.
— აძინიქსი წამოვიდა, ძმაო?
— 8:1 მალავიმ მოიგო, არადა, ჯიბუტი გუნდია...
— კაი გუნდი ყოფილა......
— შენ კაიფობ, მარა ჯიბუტი სერიოზული გუნდია, ტო. პროსტამც, მალავის მთავრობის ბიუჯეტნი ვალი ჰქონია და დააბრუნა...
— მერე შენ წილში არა ხარ, ტო?
— ეკაიფე კაბო ვერდეს, გაიგე, ძმაო?
— ფინთი მსაჯივით ნუ ავარდები, ტო, ორი უეჭველი კუში ხო გითხარი. კაროჩე, იანკოვიჩის მოგება და ივანოვიჩის წაგება ან ნააბაროტ. შანსი არაა, რო ორივე გაძვრეს. როლან გაროსზე ბიძაშვილების გრიალი მაგრა ტეხავს. ღარტანიანი და სამი მუშკეტერი ვერ გავიდნენ სლედუში ეტაპზე და მაგ იუგოსლავებს წყვილში ვინ გაუშვებს?
— რა მაგის პასუხია და დარტანიანზე გამახსენდა, ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის მოგება არა გგონია? ერიკსონი ხო სერიოზული ტრენერია...
— რრრააა???!!! ადე ეხლა აქედან და აახვიე, თორე იმდენს გირტყამ, რო პირველ სეტში ბადეს პლაშივით გადაეკიდო...

ჭუჲი ჭოჲმარია

ჩემი ბილეთი:
001 კოპავოგური—ვალური
შედეგი: დიმპიტა-ური, დამპიტა-ური
სავარაუდო მოგება: მოგზაურობა რეიკიავიკში გორბაჩოვთან ერთად
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რამდენჯერ დააცემინა ტიერი ანრიმ პარაგვაისთან მატჩის შესვენებაზე

114140 *

მეგობრობა ლივერპულში გავაგრძელოთ

„ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ინგლისის ნაკრებში თანაგუნდელ გარეთ ბერის მის კლუბში გადასვლა შესთავაზა. „ენფილდის" ვარსკვლავმა თქვა:

„მე და გარეთი, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა, დიდი მეგობრები ვართ და ძალიან მინდა, კლუბშიც ერთად ვთამაშობდეთ".

რასაკვირველია, „ასტონ ვილას" შეფ მარტინ ონილს ჯერარდის ეს ნათქვამი გაალიზიანებდა. მან აქამდეც დაიჩივლა, „ლივერპული" ჩემს კაპიტანს რაღაც ცუდად უტრიალებსო, ახლა კი ყველაფერი აშკარა გახდა.

ჯერარდი: „რასაკვირველია, გარეთს „ვილას" მიტოვება გაუჭირდება. ბოლოს და ბოლოს, 10 წელიწადია, ამ გუნდში თამაშობს, მაგრამ მეორე მხრივ, ბერი უკვე 27 წლისაა და ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთი სჭირდება. მოკლედ, ცხოვრება ხანდახან პირობების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

სეზონის დამთავრების შემდეგ რაფა ბენიტესს ველაპარაკე და ვიცი, რომ მას ჩამოწერილი აქვს იმ ფეხბურთელების სია, რომელთაც სიამოვნებით აიყვანდა „ლივერპულში". ამ სიაში ერთ-ერთი, რასაკვირველია, გარეთ ბერია. ის „ლივერპულს" გაძლიერებაში აშკარად დაეხმარებოდა".

პაპუნა ჭედია

არის ჟოზე ინტერში!

პორტუგალიელი სპეციალისტი ჟოზე მაურინიო იტალიის ბოლო სამი ჩემპიონატის გამარჯვებული მილანის „ინტერის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ხელშეკრულება სამი წლით დაიდო.

როგორც იქნა, „ნერაძურის" თავი მოეძებნა. 2007 წლის შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგაში ნორვეგიულ „როსენბორგთან" 1:1-ის მერე, „მაუ" შემოქმედებით შვებულებაში იყო, მაგრამ მისი უქმობა გუშინ დასრულდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პორტუგალიელისა და მილანური კლუბის თანამშრომლობა სამი წლით განისაზღვრება, ხოლო გარიგების ფინანსური მხარე ოფიციალურად არ გახმაურებულა, თუმცა, ამისთვის იტალიელი ჟურნალისტები არსებობენ. აპენინებზე შეუძლებელია რამენაირი ინფორმაციის დამალვა, რომელიც ფეხბურთთანაა დაკავშირებული.

ყველაზე ავტორიტეტულმა იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ „ლა გაძეტა დელო სპორტმა" საზოგადოებას აუწყა, რომ მაურინიუს ყოველწლიური ხელფასი 9 მილიონი ევრო იქნება.

ძნელი სათქმელია, რა ელით კალჩოს თაყვანისმცემლებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში „ინტერი" მაურინიუს გარეშეც იყო მანქანა, რომელიც მხოლოდ შედეგზე თამაშობდა, მაგრამ ამიერიდან „შავ-ლურჯი" მექანიზმი უფრო მწყობრად ამუშავდება.

გუნდს შემსრულებლები ერთიმეორეზე უკეთესები ჰყავს: იბრაჰიმოვიჩი, კამბიასო, ვიეირა, სტანკოვიჩი, სუასო, კორდობა, ძანეტი... ფეხბურთელები, რომელთაც მატჩის ბედის გადაწყვეტა უკვე მე-15 წუთისთვის ძალუძთ. მერე კი ისინი საფინალო სასტვენამდე კვადრატებს ათამაშებენ და გამარჯვებისთვის სარგო პრემიალურებს ითვლიან.

ერთადერთი, დროდადრო მარკო მატერაცი ახალისებს პუბლიკას, როცა სათამაშო მოედანზე სხვადასხვა ხასიათის ოინებს იგონებს. ასევე გამოსარჩევია ახალგაზრდა და ჯერაც მწყურვალე მარიო ბალოტელი, რომელიც თამაშის გულისთვის თამაშობს. დანარჩენში „ინტერი" ნამდვილი მანქანაა.

მაურინიუს მოსვლით, ვისაც ჯერ კიდევ პორტუგალიური კარიერის პერიოდში „ფეხბურთის მკვლელს" უწოდებდნენ, სერია A-ში ინტრიგა გარდაცვალების საშიშროების წინაშე დგას.

არავინ იცის, რა შედეგს გამოიღებს ამაურის „იუვენტუსში", ძამბროტას „მილანში", ჯილარდინოს „ფიორენტინაში" გადასვლა, ან რონალდინიოს იგივე „მილანში" სავარაუდო ტრანსფერის შესახებ საუბრები. წესრიგი კლასს აღემატება — ეს არის აქსიომა და ფეხბურთში ის უფრო ხშირად მართლდება, ვიდრე ზოგადად ცხოვრებაში. თუნდაც ევრო 2004 და ბერძნები გავიხსენოთ...

მაურინიუ წესრიგს დაამყარებს, ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება. ამასობაში პრესაში ბოლო დროს ხშირად ჩნდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თუკი ჟოზე მაურინიუ „ინტერში" დაინიშნება, მილანში „პორტუს" კაპიტან რიკარდუ კვარეშმასაც წაიყვანს. ჯერჯერობით გაუგებარია, რაში სჭირდება ამდენად ტექნიკური და არაორდინარული ფეხბურთელი „ინტერს", ან იქნებ მაურინიუმ დაისვენა და „რომანტიკული" ფეხბურთის მიმდევრად გაილვიძა...

„ინტერში" „მაუს" კიდევ ერთი თანამემამულეა — ლუიშ ფიგუ, რომელიც ასევე გამოირჩევა გამომგონებლობით. აქვე იბრაჰიმოვიჩის გახსენებაც შეგვიძლია, თუკი ბოსნიელი შვედი კარგა განწყობაზეა.

მოკლედ, „შავ-ლურჯ" მილანელებს მორიგი სკუდეტოს მოგების შანსი ერთი ორად წონადი გაუხდათ, ხოლო თუკი ვერ მოიგებენ, მორატის ყოველთვის ექნება საშუალება იმის თქმისა, რომ „მოჯიმ ყველაფერი იყიდა"... მოჯი თუ არა, ბერლუსკონიც ხომ არსებობს...

ერთი სიტყვით, ყველაფერი შუა შემოდგომისთვის უფრო ცხადი გახდება. ან სერია A ისეთი საინტერესო გახდება, როგორიც ბოლო ხანს არ ყოფილა (საბოლოოდ დაბრუნებული „იუვენტუსით", გაძლიერებული და ჩაგდებული სეზონით გაავებული „მილანით", ამბიციური და მზარდი „ფიორენტინათი" და ფენომენალური „ინტერით"), ან „ინტერი" „პორტუსა" და „ჩელსის" დარ მონსტრად იქცევა და ყოველ შეხვედრას 1:0 მოიგებს. მაშინ სრული უფლება გვექნება, იტალიის ჩემპიონატის მატჩებს არც ვუყუროთ.

არგენტინა

კლაუსურა
XVII ტური

ბოკა ხუნიორსი 3:1 არსენალი

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
ფინალი. საპასუხო მატჩი

სანტოსი 1:1 კრუზ ასული (2:1)

ბრაზილია

სერია A. IV ტური

ატლ. მინეირო 2:0 პორტუგეზა
ფლუმინენსე 0:1 ფლამენგო
პალმეირასი 1:0 ატლ. პარანენსე

ამხანაგური მატჩი

ტრინიდადი 0:3 ინგლისი
0:1 ბერი (12), 0:2, 0:2 დეფო (16, 49)

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		დანია. I დივიზიონი						
		5 ივნისი						
21:00	12	ნესტვედი-ფრედერისია	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
21:00	13	იოლსტიკე-ჰერფიოლგე	3.95	3.25	1.80	1.78	1.23	1.15
21:00	14	ჰვიდოვრე-კოლდინგი	1.85	3.25	3.75	1.17	1.23	1.74
21:00	17	კიოგე-ფრემი	1.90	3.25	3.55	1.19	1.23	1.69
21:00	18	ვეილე-ლოლანდი	1.30	4.00	9.00	1.00	1.13	2.76
21:00	19	სკივე-სანდერილანდი	3.75	3.25	1.85	1.74	1.23	1.17
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		4 ივნისი						
21:00	29	რუსენბორგი-ბრანი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		5 ივნისი						
20:00	31	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.45	3.75	6.50	1.04	1.18	2.37
		შვედეთი. სუპერეტა						
		4 ივნისი						
21:00	45	ჰეკენი-იორგრიტე	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
		5 ივნისი						
18:00	48	ვესბი-ანგელჰოლმი	1.95	3.20	3.45	1.21	1.24	1.66
21:00	49	ლანდსკრონა-დეგერფორსი	1.60	3.35	5.00	1.08	1.21	2.00
21:00	50	ასირისკა-ატვიდაბერგი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		ისლანდია						
		პრემიერ დივიზიონი						
		3 ივნისი						
00:00	113	კოპავოგური-ვალური	4.10	3.30	1.75	1.82	1.22	1.14

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		აშშ. MLS						
		5 ივნისი						
03:30	64	ვაშინგტონი-ჰიუსტონი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		6 ივნისი						
03:30	65	ნიუ იორკი-ჩივასი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		ჩილე. აპერტურა						
		4 ივნისი						
03:30	134	ევერტონი-კოლო კოლო	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		3 ივნისი						
23:00	115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.40	3.80	6.60	1.02	1.15	2.41
		4 ივნისი						
20:00	130	ესტონეთი-ფარერები	1.40	3.80	6.60	1.02	1.15	2.41
21:00	133	რუსეთი-ლიტვა	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
		5 ივნისი						
00:00	131	ესპანეთი-აშშ	1.25	4.60	8.50	1.00	1.08	2.98
07:00	132	მექსიკა-არგენტინა ნ	4.20	3.30	1.80	1.84	1.25	1.16
		ჩოგბურთი. ქალები.Roland Garros						
		3 ივნისი						
13:00	122	ივანოვიჩი-შნიდერი			1.15			4.50
13:00	123	იანკოვიჩი-სუარეს ნავარო			1.20			4.00
		ჩოგბურთი. კაცები Roland Garros						
		3 ივნისი						
13:00	128	ჯოკოვიჩი-გულბისი			1.07			6.00
13:00	129	ნადალი-ალმაგრო			1.03			8.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10029	რუსენბორგი-ბრანი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10133	რუსეთი-ლიტვა	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10031	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10131	ესპანეთი-აშშ	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10132	მექსიკა-არგენტინა ნ	4.60	2.10	2.15	1.44	1.46	1.06

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.85	10.00	3.50	12.00	4.60	10.00	10.00	20.00	25.00
11029	რუსენბორგი-ბრანი	2.70	6.00	4.40	7.00	3.60	20.00	10.00	20.00	10.00
11133	რუსეთი-ლიტვა	3.40	12.00	1.55	4.80	20.00	11.00	15.00	30.00	11.00
11031	ვოლერენგა-ჰამ კამი	4.60	10.00	10.00	1.85	12.00	10.00	25.00	20.00	3.50
11131	ესპანეთი-აშშ	20.00	11.00	11.00	4.80	3.40	12.00	15.00	1.55	30.00
11132	მექსიკა-არგენტინა ნ	7.50	20.00	10.00	6.50	20.00	10.00	4.40	2.60	3.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12115	საფრანგეთი-კოლუმბია	2,5	1.70	1.90
12029	რუსენბორგი-ბრანი	2,5	2.10	1.50
12133	რუსეთი-ლიტვა	2,5	2.00	1.60
12031	ვოლერენგა-ჰამ კამი	2,5	2.00	1.60
12131	ესპანეთი-აშშ	2,5	2.00	1.60
12132	მექსიკა-არგენტინა ნ	2,5	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	შეტ.
13115	საფრანგეთი-კოლუმბია	2.00	1.60
13029	რუსენბორგი-ბრანი	1.50	2.10
13133	რუსეთი-ლიტვა	1.90	1.70
13031	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.70	1.90
13131	ესპანეთი-აშშ	1.90	1.70
13132	მექსიკა-არგენტინა ნ	1.80	1.80

გოლი:ფყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)

17115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.85	1.95
17029	რუსენბორგი-ბრანი	1.85	1.95
17133	რუსეთი-ლიტვა	1.85	1.95
17031	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.85	1.95
17131	ესპანეთი-აშშ	1.85	1.95
17132	მექსიკა-არგენტინა ნ	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15115	საფრანგეთი-კოლუმბია	3.00	2.80	2.00
15029	რუსენბორგი-ბრანი	3.00	2.80	2.00
15031	ვოლერენგა-ჰამ კამი	3.00	2.80	2.00
15132	მექსიკა-არგენტინა ნ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.11	5.70
16029	რუსენბორგი-ბრანი	1.30	3.00
16031	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.12	4.60
16132	მექსიკა-არგენტინა ნ	2.90	1.32

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14115	საფრანგეთი-კოლუმბია	1.20	2.60
14029	რუსენბორგი-ბრანი	1.65	2.30
14031	ვოლერენგა-ჰამ კამი	1.20	2.60
14132	მექსიკა-არგენტინა ნ	2.30	1.65

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

კოტე ტუღუშს საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი ბესიკ ლიპარტელიანმა გადასცა

საუკეთესო იუბილარი

კოტე ტუღუში ზედიზედ მესამედ

დღეს „ავიამშენის" ლიდერ კოტე ტუღუშის დაბადების დღეა და მან ქართული საკალათბურთო სამყაროსგან ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო — სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზი. გამოკითხვა კალათბურთის ფედერაციამ მოაწყო სუპერლიგის ყველა გუნდის თავკაცს, მატჩის კომისრებსა და ჟურნალისტებს შორის.

ჰოდა, სწორედ ასეთი კომპეტენტური ხალხის რჩეული გახდა ტუღუში, რომელმაც, სხვათა შორის, ეს ტიტული მიჯრით მესამედ მოიგო — შარშან „ენერჯი-ინვესტში", ხოლო შარშანწინ „ავიამშენში" ყოფნისას.

კოტე გაცილებით გახარებული იქნებოდა, მის გუნდს ჩემპიონობა, ანაც სუპერთასი რომ მოეპოვებინა, მაგრამ...

— ჩემთვის იმიტომაც იყო გასაკვირი სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელება, რომ ბოლოს ჩემპიონობაც დავთმეთ და ვერც სუპერთასს შევწვდით — გვითხრა გუშინ კოტე ტუღუშმა.

— ესე იგი ფიქრობ, რომ ამ ტიტულს სხვა უფრო იმსახურებდა?

— არა, მე ჩემის მხრივ, რა თქმა უნდა, სამართლიანად მიმაჩნია ამ პრიზის მოგება, მაგრამ მეგონა, რომ საუკეთესოს ჩემპიონი და სუპერთასის მფლობელი „ენერჯი-ინვესტიდან" დაასახელებდნენ. რაკი მრავალი ადამიანის გამოკითხვა იყო, ალბათ ამიტომაც მერგო ეს პრიზი, თორემ ვინმეს ერთპიროვნულად რომ გადაეწყვიტა, სავარაუდოდ, რუსთაველი გუნდიდან დაასახელებდა.

— ვის, შენი აზრით?

— ალბათ იოვან სტეფანოვს, რომელმაც მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ფინალურ სერიაში საუკეთესო იყო რუსთაველთაგან. გამიხარდა, ასეთი ძლიერი კალათბურთელის წინ რომ დამაყენეს სპეციალისტებმა. ამასვე ვიტყოდი გიორგი შერმადინზე, რომელმაც ნაადრევად დატოვა სუპერლიგა და ამერიკაში ნბა-ს დრაფტისთვის ემზადება.

— რას იტყვი წაგებულ სუპერთასზე?

— ამ მატჩშიც გამოჩნდა, რომ „ენერჯი-ინვესტი" ჩვენზე იმდენად ძლიერი გუნდი არაა, როგორც ეს პლეი ოფის წინ ბევრს ეგონა. ვფიქრობ, ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, ჩემპიონობას, ანაც სუპერთასს მოვიგებდით. „ავიამშენი" ამას ნამდვილად იმსახურებდა, თუმცა არც ცარიელი ხელებით ვამთავრებთ სეზონს. საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელიძის მემორიალი მოვიგეთ.

— ესე იგი, ამ სეზონს წარმატებულად მიიჩნევ?

— პირადად ჩემთვის საკმაოდ წარმატებული იყო. დასაწყისში ტრავმის გამო ჩავარდნა მქონდა, მაგრამ ახალი წლის შემდეგ ფორმაში შევედი და მაღალ დონეზე ჩავამთავრე სეზონი. მიხარია, რომ მონდომება სეზონის საუკეთესოდ დასახელებით დამიფასდა, თუმცა ჩემპიონობა უფრო მესიამოვნებოდა.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ჯერ არ ვიცი. ჩვენთან ხომ იცი, როგორც ხდება, აგვისტოდან იწყება გუნდების დაკომპლექტება. მეც, ალბათ, რომელიმე კარგ ვარიანტს მოვნახავ. არც ისაა გამორიცხული, რომ ირანში წავიდე, სადაც 2 წლის წინაც ვთამაშობდი.

ირაკლი პერტაია



შეხვედრა პირველი. 1959
სელტიქსი 4:0 ლეიკერსი

„სელტიქსის" და „ლეიკერსის" ურთიერთშეხვედრებს ნბა-ში თავისი ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, მათ ჯახებში იწერებოდა ნბა-ს ისტორია. ასოციაციის ეს ყველაზე ტიტულოვანი გუნდები პლეი ოფების ფინალებში აქამდე ათჯერ შეეტაკნენ ერთმანეთს და სპორტული დაპირისპირების კულმინაციას მიაღწიეს. „სარბიელი" წარმოგიდგენთ მათი მონაწილეობით გამართულ ათივე ფინალს

ბოსტონისთვის ლეიკერსი მინეაპოლისიდან დაიწყო

12 წლის წინ დაარსებული ნბა იმ ხანად დიდი ძვრების პირას იდგა. ისეთი მომცრო ქალაქები, როგორებიც იყვნენ მინეაპოლისი, ან სირაკუზი, ველარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ ეკონომიკურ მოთხოვნებს და მოლონიერებულ საკალათბურთო ლიგას ბაზრის გაფართოება და სანახაობის დიდ ქალაქებში გატანა გადაეწყვიტა. მინეაპოლისში მობინადრე „ლეიკერსიც" სულ მალე გადავიდა დასავლეთ სანაპიროს მზარდ ქალაქ-გიგანტ ლოს ანჯელესში. მანამდე კი, 1959 წელს საკმაოდ დასუსტებული იყო და ბევრი გააკვირვა, როცა დასავლეთის (ფინალში იმ ხანად აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც 4-4 გუნდი თამაშობდა) დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი „სენტ ლუისი" და დიდ ფინალს უწია. 1950-55 წლებში ხუთჯერ გაჩემპიონებული გუნდიდან „ლეიკერსს" მხოლოდ ვერნ მიკელსენილა შერჩენოდა და მისი და ახალბედა შავკანიან სუპერვარსკვლავ ელჯინ ბეილორის იმედად დარჩენილიყო. ითქვა, რომ მწვრთნელმა ჯონ კუნდლამ ნამდვილი სასწაული მოახდინა, ჯაგლაგი გუნდი ფინალამდე რომ მიიყვანა.

აღმოსავლეთიდან კი ფინალში ზედიზედ მესამედ ამოვიდა მძლავრი „ბოსტონი", ვინაც ორი წლის წინ პირველად გაუსინჯა გემო ჩემპიონობას და რაღა სისხლი იყნოსა, საშინელ მტაცებლად შეიცნო თავი.

„ბოსტონ სელტიქსი" არ იყო ერთი-ორი წლით მოძლიერებული გუნდი. მას ჰყავდა 50-ანების საუკეთესო გამთამაშებელი ბობ კოუზი, ნბა-ში 1956 წელს მისული საუკეთესო ცენტრი, შავკანიანი ბილ რასელი, ფორვარდი ტომ ჰეინსონი, სნაიპერი ბილ შარმენი, სემ და კეისი ჯონსები... ამ სუპერგუნდს დიდი ხანი კრებდა და აღუღაბებდა ეშმაკი მწვრთნელი არნოლდ „რედ" აუერბახი, კაცი რომელიც მოედნის პირას მდგომიც სიგარას აზრჩოლებდა და მუდამ იღიმებოდა, მაგრამ უდარდელი იერის მიღმა მკაცრი, გონიერი და თავისი გუნდის ვარჯიშებში სულის ამომხდელი მიზანმიმართული პიროვნება იმალებოდა.

აუერბახი პირველი შეეურჩა რასიზმს და თავის გუნდში შავკანიანი აიყვანა. „სელტიქსშიც" მას მერე მუდამ იყვნენ ზანგები და მათ თავიდან დიდი პრობლემებიც ექმნებოდათ ზოგიერთ ქალაქში. რასელს ხომ მოსვენება ჰქონდა დაკარგული, რადგან ის ყველაზე მაღალიც იყო და ძლიერიც, მოკლედ, ყველანაირად „თვალში ეჩხირებოდა" მეტოქეთა ქომაგებს.

„ბევრგან გვხვდებოდა პრობლემები — იხსენებს ბობ კოუზი — ერთხელ სენტ ლუისში მას ოთახშიც კი შეუვარდნენ და ყველაფერი დაულეწეს. მას არ შეეძლო, ამ ქალაქებში გოლფის სათამაშოდ წასვლა და ზოგიერთ ადგილებში გავლა. მაგრამ „რასი" ყოველთვის საომრად იყო შემართული და ეს განწყობა მას ჩვენთან მოსვლამდე ჩამოუყალიბდა. არაფერს არ თმობდა. არაერთხელ ვუთხარი, შენს ადგილზე მე უფრო რადიკალური რეაქცია მექნებოდა-მეთქი."

1957 წელს „ბოსტონ სელტიქსი" „სენტ ლუის ჰოქსთან" ბრძოლაში პირველად გახდა ჩემპიონი. შემდეგ წელს ამავე გუნდთან დამარცხდა და „ლეიკერსთან" პირველად 1959 წელს წარდგა ფინალში. მაგრამ ფინალამდე იყო შეხვედრა „სირაკუზთან", რომელიც შვიდ თამაშამდე გაგრძელდა. ბოლო შეხვედრა ბოსტონში გაიმართა. „სელტიქსი" პირველი ტაიმის შემდეგ 8 ქულით აგებდა:

„ჯერ კიდევ დაწყებამდე დაემუქრა დამთავრების საფრთხე „სელტიქსის" დინასტიას — ყვებოდა გუნდის ერთ-ერთი მოხელე — მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენებმა თითქმის იდეალური კალათბურთი ითამაშეს და მოიგეს."

ტომ ჰეინსონი — „ეს იყო საუკეთესო მატჩი, რომელშიც მე მონაწილეობა მიმიღია. ბიჭები ერთმანეთს ვეუბნებოდით, თუ ამ წყეულ „სირაკუზს" მოვუგეთ, მაშინ „ლეიკერსს" ფინალში 4:0 უნდა გადავუაროთ-თქო.

და მართლაც, გადაუარეს.

„ლეიკერსმა" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „სელტიქსს" და 0:4 დანებდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ ლოს ანჯელესის სახელით გამოსული „ლეიკერსი" ხალხს შეიმატებს, მოძლიერდება და 60-იანებში კიდევ ექვსჯერ შეეტაკება „მწვანე გოლიათს", მაგრამ ამაზე შემდეგ ნომრებში მოგითხრობთ.

ირაკლი ფირაშვილი



ბოსტონელი ბობ კოუზი ფინალშიც შეუჩერებელი იყო

GOLDEN LEAGUE IAAF

ოქროს ლიგა. პირველი ეტაპი. ბერლინი

მეხი ბერლინის ცაზე

უორინერმა სხვისი ზურგი იხილა

ჯერემი უორინერი (მარცხნივ) ლაშონ მერიტს ჩამორჩა

იაპონ-ის ყველაზე ფულიან ტურნირთა სერია „ოქროს ლიგას“ წლეულს ცოტა არ იყოს, ჩრდილი დაჰკრავს, რადგან ოლიმპიადამდე რამდენიმე კვირით ადრე ბევრი მძლეოსანი უარობს სერიოზულ შეჯიბრებაში გასვლას იმ საბაბით, ემანდ არ გადავიღალო ოლიმპიადის წინო. თუნდაც 100 მეტრის აწუკვე ყოფილმა მეფემ ასაფა პაუელმა რამდენიმე „ოქროს“ ეტაპი ამოიღო თავისი საზაფხულო კალენდრიდან და იქნებ ექვსივეც კი გამოტოვოს.

არადა, „ოქროს ლიგის“ მთელი ხიბლიც ისაა, რომ ვინც ლიგის ექვსივე ეტაპზე მოიგებს ამა თუ იმ სახეობას, მას გადაეცემა მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები. თუ ერთბაშად რამდენიმე სპორტსმენი მოიგებს ექვსივე ეტაპს, მილიონის ჯეკ-პოტი მათ შორის გაიყოფა, ხოლო თუ ექვსივე გამარჯვება ვერავინ შეაგროვა, ხუთი გამარჯვების მომხვეჭი მიიღებს ნახევარ მილიონს.

პაუელი კი ამ დროს სადღაც სხვაგანაა და ფეხებს საპეკინოდ ინახავს. მაგრამ ვარსკვლავთა შეთხელების მიუხედავადაც ლიგა საზეიმოდ და 65 ათასი ბერლინელის თვალწინ გაიხსნა.

მძლეოსნებს სირბილ-ხტუნაობა ჯერ ხვირიანად არც დაეწყოთ და უკვე სენსაცია გამოხტა. ვერ მოიგო 400 მეტრის გამგებელმა ჯერემი უორინერმა, ვისაც აქამდე ყველგან ყველაფერი მოეგო და წაგებას გადაჩვეულიყო კიდეც. ამიტომ ბერლინში სირბილისას მეორე რკალიდან რომ გამოვიდა და ბოლო 100-მეტრიან სწორზე გავიდა, რაოდენ გაოცდა, რომ საკათარი მხრის გასწვრივ თანამემამულე ლაშონ მერიტი იხილა. ეს მეორე ამერიკელი უორინერის სამყაროში მუდამ მეორე იყო და შარშან ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც მხოლოდ ვერცხლი შეხვდა, მაგრამ ამ ჯერზე მან და მისმა შედეგმა მოწმენდილ ცაზე მეხივით დაიგრგვინეს და ანგელოზები დაუფრთხეს ტახტზე მორჭმით მჯდარ ჩემპიონს.

მერიტმა სულ რაღაც 0,04 წამით შეასწრო უორინერს ფინიშზე და სეზონის რეკორდი, 44,03 წამიც გაიპიროვნა, მაგრამ ეს ცოტაც დიდი საქმეა და ინტრიგას ჰმატებს ამ ერთი კაცის საკუთრებად ქცეულ დისციპლინას.

„ჯერემი უორინერის დამარცხება შესანიშნავი განცდით მავსებს — ამბობს მერიტი — მაგრამ რაკი სეზონი ახალი დაწყებულია, ეს შედეგი არაფერს ნიშნავს, ის კიდევ არაერთხელ გაუმჯობესდება. მე უფრო სწრაფადაც შემიძლია სირბილი და ახლა ჩემი მიზანია, ჯერემი კიდევ ერთხელ დავამარცხო, აწი უკვე პეკინში.“

ბერლინში კიდევ ერთი მეხი გავარდა გრუხუნით. უორინერისა არ იყოს, მილიონის ოქროსთან მოფერების შანსი დაკარგა პანამელმა სიგრძეზე მხტომელმა ირვინგ სალადინომაც. არადა, ისიც იმდენად აღემატება სხვა ხტუნიებს, რომ ჯეკ-პოტის ურეალურეს კანდიდატად ითვლებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინ 8,75 მეტრზე გადახტა და მსოფლიოს ყველა დროის მეათე შედეგი აჩვენა, რომლის მსგავსიც ბოლო წლებში ვერავის მოეპოვებინა. პანამელს გაუცუდდა პირველი ორი ნახტომი, მესამე ცდაზე კი მორიგ ჯარიმას შეუშინდა და ზუსტად, მაგრამ სუსტად გადახტა, რვა მეტრსაც კი ვერ უწია და 7,92 შედეგით ფინალში ვერ მოხვდა. სირცხვილი და თავის მოჭრა ჩემპიონს! ამ დროს აქ გამარჯვება დარჩა ვიღაც საუდელ ჰუსეინ ალ-საბეეს, სულ რაღაც 8,21-მეტრიანი შედეგით.

სხვა ფავორიტებიდან თავიანთ „წილი“ გამარჯვება გაიფორმეს სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა ბლანკა ვლასიჩმა და შუბის მტყორცნელმა კაცმა ტერო პიტკამაკიმ. ხორვატმა 2,03 მეტრი დაძლია და რაკი სხვა ქალები 2,00 მეტრზე დარჩნენ, მეტ სიმაღლეს აღარ გამოედევნა. ფინელმა კი საუკეთესო ცდაზე შუბი 85,20 მეტრზე გატყორცნა და სულ რაღაც 1 სანტიმეტრით შორს ჩაასო მარადიულ მეტოქე, ნორვეგიელ ანდრეს ტორკილდსენზე. თანაც პიტკამაკიმ ზურგი იტკინა და შეიძლება შემდეგ ეტაპებზე აღარც გავიდეს, რათა ოქროების დევნა ოლიმპიადის გაცდენად არ დაუჯდეს.

სამძლეოსნო სამყარო კიდევ ერთხელ გააოცა ახალგაზრდა კენიელმა პამელა ჯელიმომ. ეს გოგონა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და უკვე რეკორდს ეთამაშება. ალბათ სულ მალე დაიპყრობს 800 მეტრს და რეკორდამდეც დიდი ხანი არ ალოდინებს მილეთს. რამდენიმე დღის წინ მან ჰოლანდიურ ენგელოში 800 მეტრი წუთსა და 55,76 წამში დაფარა, ბერლინში კი კიდევ უფრო სწრაფი იყო და 1.55-დან ამოვიდა. მისი დრო, 1.54,99 ყველა დროის მეხუთე შედეგია და მან უკვე წაართვა აფრიკის რეკორდი ლეგენდარულ მარია მუტოლას. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 11 წელიწადში ეს დისტანცია ასე სწრაფად არც ერთ ქალს არ ურბენია, თამამად ვიტყვით, რომ მძლეოსნობას კიდევ ერთი მეგავარსკვლავი ეზრდება.

ვანო კობიაჯვილი

საპრიზო სახეობები

კაცები: 100 მეტრი, 400 მეტრი, 1500 მეტრი, 400 მეტრი თარჯრბენი, სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა

ქალები: 200 მეტრი, 800 მეტრი, 100 მეტრი თარჯრბენი, სიმაღლეზე ხტომა

კალენდარი

I ეტაპი	1	ივნისი, ბერლინი
II ეტაპი	6	ივნისი, ოსლო
III ეტაპი	11	ივლისი, რომი
IV ეტაპი	18	ივლისი, პარიზი
V ეტაპი	29	აგვისტო, ციურიხი
VI ეტაპი	5	სექტემბერი, ბრიუსელი

პირველი ეტაპის გამარჯვებულები

კაცები		
100 მ	ნესტა კარტერი (იამაიკა)	10,08
400 მ	ლაშონ მერიტი (აშშ)	44,03
1500 მ	ავგუსტინ კიპრონო (კენია)	3.31,57
400 მ თარჯრბენი	ბერშან ჯეკსონი (აშშ)	48,73
სიგრძეზე ხტომა	ჰუსეინ ელ-საბი (საუდეთი)	8,21
შუბის ტყორცნა	ტერო პიტკამაკი (ფინეთი)	85,20
ქალები		
200 მ	შერონ სიმპსონი (იამაიკა)	22,43
800 მ	პამელა ჯელიმო (კენია)	1.54,99
100 მ თარჯრბენი	ჯოზეფინ ონიია (ესპანეთი)	12,50
სიმაღლეზე ხტომა	ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია)	2,03

უსაინ უსწრაფესი

31 მაისს აქეთ მსოფლიოს ახალი უსწრაფესი ადამიანი ჰყავს. იამაიკელი ასაფა პაუელის რეკორდი მისივე თანამემამულე უსაინ ბოლტმა დაამხო და 100 მეტრის გარბენის ადამიანური ლიმიტი 9,72 წამამდე შეამცირა. ფანტასტიკური დრო არის, ასე თუ აუჩქარებდა ადამის მოდგმა ფეხს, ძნელად იფიქრებდნენ 15-20 წლის წინ.

სპორტული ირონია კი ის არის, რომ ბოლტი არ ითვლება 100 მეტრის სპეციალისტად. 14 წლიდან ის 200 მეტრზე დარბოდა და კოჭებზევე ეტყობოდა, რომ ამ დისციპლინაში რიგითი სპორტსმენი არ იქნებოდა. 15 წლისა უკვე 21-წლამდელების მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა და მას ეკუთვნის 200 მეტრზე ახალგაზრდული რეკორდი — 19,93 წამი. ახლა ის 21 წლისაა, მხოლდ ერთი წლის წინ დაიწყო 100 მეტრის 200-თან შეხამება და აი, შედეგიც!

ის არც ფიქრობდა რეკორდზე, უბრალოდ, სურდა, რომ შაბათს ნიუ იორკის გრან პრიზე ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონ ტაისონ გაისთვის გაესწრო და ამ ორი ფეხმალი შავკანიანის პირად შეჯიბრში იშვა მსოფლიოს რეკორდი.

„მე არ მიფიქრია რეკორდზე სერიოზულად. ერთი თვის წინ ნაჩვენები 9,76-წამიანი შედეგის მიუხედავადაც კი — ამბობს ბოლტი — მაგრამ მე და ჩემი მწვრთნელი გლენ მაილზი სირბილის ყველა დეტალს დიდხანს ვამუშავებდით, განსაკუთრებით სასტარტო გასროლაზე რეაგირებს და სტარტიდან წამოდგომას. ვფიქრობ თუ არა რეკორდის გაუმჯობესებაზე? სულაც არა. ის ხომ ჩემია და დაე, სხვამ იფიქროს ამაზე. ამასთან მე ჩემი შეხედულება მაქვს ამ საგანზე — ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ოლიმპიადის მოგებაა. რეკორდი ოქროს მედლის გარეშე არაფერია.“

აი, ასეთი მიზანმიმართულია ეს ახალგაზრდა და ასეთიც უნდა იყოს, თუ სურს სარბენი ბილიკების დაპყრობა. ქვემოთ კი გთავაზობთ 100 მეტრზე სირბილში ყველა რეკორდს და რეკორდ ამენს მას შემდეგ, რაც დროის ათვლისას წამის მეათედების მაგივრად მეასედები შემოიღეს.

ვანო კობიაჯვილი

100 მეტრის რეკორდების პროგრესი

დრო	რეკორდსმენი	ადგილი	თარიღი
9.95	ჯიმ ჰაინისი (აშშ)	მეხიკო	14 ოქტომბერი, 1968
9.93	ქელვინ სმიტი (აშშ)	კოლორადო სპრინგსი	3 ივლისი, 1983
9.93	კარლ ლუისი (აშშ)	რომი	30 აგვისტო, 1987
~~9.83~~	~~ბენ ჯონსონი (კანადა)~~	~~რომი~~	~~30 აგვისტო, 1987~~
9.93	კარლ ლუისი (აშშ)	ციურიხი	17 აგვისტო, 1988
~~9.79~~	~~ბენ ჯონსონი (კანადანა)~~	~~სეული~~	~~24 სექტემბერი, 1988~~
9.92	კარლ ლუისი (აშშ)	სეული	24 სექტემბერი, 1988
9.90	ლეროი ბარელი (აშშ)	ნიუ იორკი	14 ივნისი, 1991
9.86	კარლ ლუისი (აშშ)	ტოკიო	25 აგვისტო, 1991
9.85	ლეროი ბარელი (აშშ)	ლოზანა	6 ივლისი, 1994
9.84	დონოვან ბეილი (კანადა)	ატლანტა	27 ივლისი, 1996
9.79	მორის გრინი (აშშ)	ათენი	16 ივნისი, 1999
~~9.78~~	~~ტიმ მონტგომერი (აშშ)~~	~~პარიზი~~	~~14 სექტემბერი, 2002~~
9.77	ასაფა პაუელი (იამაიკა)	ათენი	14 ივნისი, 2005
~~9.77~~	~~ჯასტინ გატლინი (აშშ)~~	~~დოჰა~~	~~12 მაისი, 2006~~
9.77	ასაფა პაუელი (იამაიკა)	გეითსშიდი	11 ივნისი, 2006
9.76	ასაფა პაუელი (იამაიკა)	ციურიხი	18 აგვისტო, 2006
9.74	ასაფა პაუელი (იამაიკა)	რიეტი	9 სექტემბერი, 2007
9.72	უსაინ ბოლტი (იამაიკა)	ნიუ იორკი	31 მაისი, 2008

ხაზგადასმულებს ჩამოერთვათ რეკორდი

ლოები საბერძნეთშიც პირველია



სებასტიენ ლოები (მარჯვნივ) და მისი განუყრელი შტურმანი დანიელ ელენა

ბერძნული „რალი აკროპოლისი“, თავისი ქვაღორღიანი და მტვრიანი გზებით, არასოდეს განეკუთვნებოდა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის სებასტიენ ლოების საყვარელ შეჯიბრს. წლევანდლამდე სების საბერძნეთში ერთდაერთხელ, 2005 წელს მოეგო, მაგრამ წლეულს სულ სხვა სურათი გვაქვს — მარკუს გრონჰოლმის წასვლის შემდეგ ლოები იგებს, ფაქტობრივად, ყველაფერს და თანაც, ამას აკეთებს ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე.

წლევანდელი ჩემპიონატის შვიდიდან ხუთი ეტაპი რალის ფრანგი დიდოსტატის გამარჯვებით დასრულდა და ამ ფონზე საოცარია, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში ლოები ოდენ ერთი კინკილა ქულით უსწრებს თავის, პრაქტიკულად, ერთადერთ კონკურენტს, ფინელ მიკო ჰირვონენს. თუმცა, ამას მარტივი ახსნა აქვს — ხუთი მოგებულის გარდა, დარჩენილი ორი ეტაპი სებმა ვერ დაასრულა, ანუ უქულოდ დარჩა, ხოლო ჰირვონენი წლეულს ზესტაბილურია, მართალია, ლოებზე დაბლა, მაგრამ თითქმის ყველა ეტაპზე პოდიუმზეა და ამით ჩემპიონატს ინტრიგას უნარჩუნებს.

ლოები საბერძნეთში პირველივე დღეს დაწინაურდა. სებმა საწყისი ექვსი სპეცმონაკვეთიდან ოთხი მოიგო და შემდეგ თავი დიდად აღარ შეუწუხებია — მოპოვებული უპირატესობა პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ამ დროს, ჰირვონენი და მისი თანაგუნდელ-თანამემამულე იარი-მატი ლატვალა, სწორედ პირველ დღეს გაწვალდნენ, როდესაც შეკიდულობის სისტემაში არსებული პრობლემების გამო ბლომად დრო დაკარგეს და ლოებს ვინ ჩივის, წინ „სიტროენის“ მეორე მძღოლი დანი სორდო და ნორვეგიელი ძმები პეტერ და ჰენინგ სოლბერგებიც გაუშვეს.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა, „ჰოლივუდ“ პეტერ სოლბერგმა ბოლომდე კარგად იარა და მეორე ადგილი დაიკავა. აი, მისი ძმა კი, ფინიშისკენ ისეთი სწრაფი ვეღარ იყო და მერვე ადგილამდე დაქვეითდა.

ჰირვონენი მაინც შედგა პოდიუმის მესამე საფეხურზე და ამით თავადვე გაკვირვებული იყო. „ეს ყველაზე მკაცრი და სასტიკი რალია, რომელშიც ოდესმე მიმიღია მონაწილეობა. უმძიმესი დღეები იყო და უამრავი პრობლემა შემხვდა. ამიტომაც ამ მესამე ადგილით უაღრესად ბედნიერი და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვარ“ — განაცხადა მიკომ.

ლატვალა მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა. პრიზიორებისა და სორდოს გარდა, მას ბრიტანელმა მეტიუ ვილსონმა და კირიერის საუკეთესო, მეოთხე შედეგის მქონე ესტონელმა უმო აავამაც აჯობეს.

წლეულს პირველად დარჩა ქულების გარეშე ავსტრალიელი კოლინ ატკინსონი, თუმც ის გენერალურ კლასიფიკაციაში მაინც ინარჩუნებს მესამე პოზიციას.

ჩემპიონატის შემდეგი, მერვე ეტაპი, თურქეთის რალი კი უკვე ათი დღის შემდეგ დაიწყება.

ძახა ლომაძე

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
VII ეტაპი. რალი აკროპოლისი. მარკოპულო
საბერძნეთი. 29 მაისი–1 ივნისი

რბოლის შედეგები

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) ----- 3 სთ 54 წთ 54,3 წმ
2. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) --------+1 წთ 09,5 წმ
3. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“) ---------- +1.56,1
4. ურმო აავა (ესტონეთი, „სიტროენი“) ---------- +4.19,7
5. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“) ---------+4.49,4
6. მეტიუ ვილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ-სტობარტი“) -------- +6.11,3
7. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“) ----------+6.47,5
8. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-მუნჩი“) ---------- +9.14,0

საერთო ჩათვლა

1. ლოები 50 ქულა; 2. ჰირვონენი 49; 3. კოლინ ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“) 31; 4. ლატვალა 26; 5. სორდო 25; 6. პ. სოლბერგი 17; 7. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი“) 17; 8. ჰ. სოლბერგი 12; 9. ვილსონი 10; 10. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდ-მუნჩი“) 8

კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 81 ქულა; 2. სიტროენი 79; 3. სუბარუ 50; 4. ფორდ-სტობარტი 37; 5. ფორდ-მუნჩი 16; 6. სუზუკი 6

რალი აკროპოლისის გამარჯვებული 1975 წლიდან

1975	ვალტერ რიორლი (გერმანია, „ოპელი“)
1976	ჰარი კალსტრომი (შვედეთი, „დაცუნი“)
1977	ბიორნ ვალდეგარდი (შვედეთი, „ფორდი“)
1978	ვალტერ რიორლი (გერმანია, „ფიატი“)
1979	ბიორნ ვალდეგარდი (შვედეთი, „ფორდი“)
1980	არი ვატანენი (ფინეთი, „ფორდი“)
1981	არი ვატანენი (ფინეთი, „ფორდი“)
1982	მიშელ მუტონი (საფრანგეთი, „აუდი“)
1983	ვალტერ რიორლი (გერმანია, „ლანჩა“)
1984	სტიგ ბლომკვისტი (შვედეთი, „აუდი“)
1985	ტიმო სალონენი (ფინეთი, „პეჟო“)
1986	იუხა კანკუნენი (ფინეთი, „პეჟო“)
1987	მარკუ ალენი (ფინეთი, „ლანჩა“)
1988	მიკი ბიაზონი (იტალია, „ლანჩა“)
1989	მიკი ბიაზონი (იტალია, „ლანჩა“)
1990	კარლოს საინსი (ესპანეთი, „ტოიოტა“)
1991	იუხა კანკუნენი (ფინეთი, „ლანჩა“)
1992	დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, „ლანჩა“)
1993	მიკი ბიაზონი (იტალია, „ფორდი“)
1994	კარლოს საინსი (ესპანეთი, „სუბარუ“)
1995	არის ვოვოსი (საბერძნეთი, „ლანჩა“)
1996	კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „სუბარუ“)
1997	კარლოს საინსი (ესპანეთი, „ფორდი“)
1998	კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „სუბარუ“)
1999	რიჩარდ ბარნსი (ბრიტანეთი, „სუბარუ“)
2000	კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „ფორდი“)
2001	კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „ფორდი“)
2002	კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „ფორდი“)
2003	მარკო მარტინი (ესტონეთი, „ფორდი“)
2004	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“)
2005	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)
2006	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი“)
2007	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი“)
2008	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)

შენიშვნა: 1995 წელს „რალი აკროპოლისი“ მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაში არ იყო; 1982 წელს „რალი აკროპოლისი“ ქალმა ფრანგმა მიშელ მუტონმა მოიგო

ვალენტინო როსი ჩაფხუტის ზედა ნაწილს საკუთარი სახე დაახატა

როსიმ ლეგენდას რეკორდი წაართვა

უკვე თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ შარშანდელი, უაღრესად წარუმატებელი სეზონის შემდეგ ვალენტინო როსი დაბრუნდა და ის ისევ ის ძველი „დოქტორია“, რომელთან შედარებითაც დანარჩენი მოტომრბოლები სტუდენტებად და ჰა, ჰა, მეცნიერებათა კანდიდატებად ჩანან.

გასულ უქმეებზე მუჯელიოში როსის მშობლიური, „იტალიის დიდი პრიზი“ გათამაშდა და ყველა კლასში შვიდგზის ჩემპიონმა „დოქტორმა“ ზედიზედ მეშვიდედ მოიგო საშინაო რბოლა.

ვალენტინომ უკვე კვალიფიკაციისას დაამტკიცა თავისი სიძლიერე, როდესაც წლეულს პირველი პოული დაისაკუთრა და რბოლის დროსაც, ასი ათასი ქომაგის გასახარად და გასაგიჟებლად, არავინ დაუეჭვებია უპირატესობაში.

„დოქტორმა“ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა, გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა განმტკიცა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს იყო როსის 91-ე დიდი პრიზი (ყველა კლასის გათვალისწინებით) და ეს კი აბსოლუტური რეკორდია. ორი კვირის წინ, საფრანგეთში, ვალენტინო დაეწია ძველ რეკორდსმენს, მოტორბოლის ლეგენდას ანხელ ნიეტოს და აი, მოუჯელოში გამართული რბოლის შემდეგ ნიეტო რეკორდსმენი აღარ არის.

მეორე და მესამე ადგილები შარშანდელმა ჩემპიონმა ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა და ესპანელმა დანიელ პედროსამ დაიკავეს, ხოლო მეორე ესპანელი ხორხე ლორენცო წლეულს პირველად დარჩა ქულების გარეშე.

და საერთოდაც, იტალიური ეტაპი მასპინძლების სრული ტრიუმფით აღინიშნა. „მოტოჯიპის“ მეფეს, ვალენტინო როსის მხარი დაბალ კლასში მოასპარეზე იტალიელებმაც აუბეს — „საშუალო“, ანუ 250-იანთა კლასში მარკო სიმონჩელი იყო პირველი, ხოლო უმცროს, 125-იანთა კლასში სიმონე კორსიმ აჯობა ყველას.

როსის ტრიუმფი, რა თქმა უნდა ცალკე გამოსაყოფი თემაა, მაგრამ მიუჯელოში ყველაზე მძაფრი სანახაობა „უმცროსი“ კლასის წარმომადგენლებმა უჩვენეს ქომაგებს. თავად განსაჯეთ — კორსიმ მეორე ადგილზე გასულ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს, უნგრელ გაბორ ტალმაშის ოდენ 0,019 წამით აჯობა, მესამე პრიზიორი, ესპანელი პოლ ესპარგარო 0,036 წამით ჩამოიტოვა და გამარჯვებულსა და მეშვიდე ადგილზე გასულ ესპანელ ნიკოლას ტეროლს შორის სხვაობა წამზე ნაკლები იყო.

ძახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-ფრიულ მოტორბოლაში. VI ეტაპი. იტალიის დიდი პრიზი მიუჯელო. 1 ივნისი

მოტო JP (23 წრე)

1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“)	42 წთ 31,133 წმ
2. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“)	42.33,354
3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“)	42.36,020
4. ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, „ჰონდა“)	42.37,466
5. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“)	42.43,683

საერთო ჩათვლა: 1. როსი 122 ქულა; 2. პედროსა 110; 3. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 94; 4. სტოუნერი 76; 5. ედვარდსი 58

250 კბ/სმ (21 წრე)

1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“)	40 წთ 19,910 წმ
2. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“)	40.20,409
3. ტომას ლუტჰი (შვეიცარია, „აპრილია“)	40.20,622
4. მიკა კალიო (ფინეთი, KTM)	40.27,313
5. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია“)	40.32,452

საერთო ჩათვლა: 1. კალიო 106 ქულა; 2. პაზინი 88; 3. დებონი 79; 4. სიმონჩელი 78; 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) 61

125 კბ/სმ (20 წრე)

1. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“)	39 წთ 59,020 წმ
2. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“)	39.59,039
3. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი“)	39.59,056
4. მიშელ დი მეჯიო (საფრანგეთი, „დერბი“)	39.59,155
5. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	39.59,198

საერთო ჩათვლა: 1. კორსი 87 ქულა; 2. დი მეჯიო 87; 3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) 75; 4. ხუან ოლივე (ესპანეთი, „დერბი“) 65; 5. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) 58

როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

მაშა, მაშა, ასე იცის დინარამ

კაცები

მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ჟულიენ ბენეტო (აშშ) 6:4 7:5 7:5; **ფერნანდო გონსალესი** (24, ჩილე) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 6:3 6:1; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (28, ხორვატია) 7:6 4:6 6:3 6:2; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — რადეკ შტეპანეკი (21, ჩეხეთი) 4:6 6:2 1:6 6:3 6:3

ქალები

მეოთხე წრე

დინარა საფინა (13, რუსეთი) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:7 7:6 6:2; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (11, რუსეთი) 6:4 1:6 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (16, ბელარუსი) 6:2 2:2-ზე გადაიდო; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:3 3:6-ზე გადაიდო



დინარა საფინამ მარია შარაპოვა თავჩაქინდრული დატოვა

არავინ თქვას, ისტორიამ გამეორება არ იცისო. იცის და თანაც როგორი სიზუსტით — მარია შარაპოვას ზუსტად იგივე დაემართა, რაც ორი წლის წინ. კერძოდ, რუსი პრიმა ისევ დინარა საფინას გადაეყარა, ისევ მეოთხე წრეში, ისევ მოგებამდე ერთი ნაბიჯიღა დააკლდა, მაგრამ ისევ დამარცხდა. ეტყობა, შარაპოვას წარსულიდან სწორი დასკვნების გაკეთება უჭირს, თორემ საკუთარ შეცდომებზე სწავლა რომ შეეძლოს, გუშინ არაფრის დიდებით არ წააგებდა.

არ შეიძლება მაშას დავიწყებოდა თუ რა ვითარებაშია მოუწია შარშანწინ ფრანგული სლემტურნირიდან აბარგება — საფინას თავიდან მაშინაც ჯობდა, მაგრამ დინარამ ფაქტობრივად წაგებული მატჩი სათავისოდ შემოატრიალა.

ჰოდა, გუშინ ორი წლის წინადელი ისტორიის „დე ჟავიუ" ვნახეთ — თანაც ისეთი სიზუსტით, თითქოს ვინმეს წინასაწრ დაეწეროს სცენარი და ჩოგბურთელებიც კარგი მსახიობებივით ზედმიწევნით ასრულებდნენ უხილავი რეჟისორის მითითებებს.

თავიდან ისევ შარაპოვამ იყოჩაღა და მალევე დაწინაურდა, მაგრამ საფინამ შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. საჩოგბურთო ლატარია უკეთ უკვე დინარამ დაიწყო და მალე სეტის სათავისოდ დასრულების შანსიც ჰქონდა, როცა 6:4-ს იგებდა. მაგრამ მაშამ ზედიზედ ოთხი გათამაშება მოიგო და პარტია სათავისოდ დაიტოვა.

მეორე სეტი ახალი დაწყებული იყო, როცა პარიზში ისევ გაწვიმდა და თამაშიც დაახლებით საათნახევრით შეჩერდა. კორტზე დაბრუნების შემდეგ კი კვლავ შარაპოვას ჯერი დადგა და მანაც მალე ძალიან სოლიდური უპირატესობა შეიქმნა — 5:2. თითქოს ყველაფერი უნდა მორჩენილიყო, რადგანაც მაშამ მატჩ-პოინტიც მოიპოვა. აქ მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შარაპოვა ორი წლის წინანდელ შეცდომას გაიმეორებდა და ამ უპირატესობას ხელიდან გაუშვებდა.

თუმც საფინამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბოლომდე ბრძოლა ნებისმიერ მომენტში შეუძლია. ხოლო თუ შარაპოვას შარშანწინდელი დაავიწყდა, მაშინ მას დინარას მიერ ერთი თვის წინ ბერლინში ჩადენილი გმირობანი უნდა ხსომებოდა, როდესაც საფინამ სანახევროდ წაგებული მატჩი შემოუტრიალა სერენა უილიამსს, მანამდე კი ჟუსტინ ენინს მოუგო (სწორედ ამის მერე წავიდა ჭინკა ბელგიელი ჩოგბურთიდან).

ასეა თუ ისე, საფინა რისკს არ შეუშინდა და სუპერავანტიურული, ყოვლად თავზეხელაღებული თამაში გააჩაღა — რა თქმა უნდა, ამ დროს შეცდომების დაშვების შანსი ჩვეულებრივზე მეტია, მაგრამ ჩიტი ბრდღვნად ღირდა, რადგანაც საფინას წაგებამდე მაინც აღარაფერი უკლდა. ჰოდა, რისკმა გაამართლა, რადგანაც დინარამ შეძლო რამდენიმე გიჟური გათამაშების მოგება და მალე ანგარიშიც გაათანაბრა. საქმე ისევ ტაიბრეიკისკენ წავიდა, სადაც შარაპოვას მოგების კიდევ ერთი დიდებული შანსი მიეცა და 5:2 დაწინაურდა. მაგრამ მაშა უკვე ზედმეტად ნერვიულობდა და აკი რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა (მათ შორის ორმაგი), რითაც თითქმის განაღდებული მოგება ხელიდან გაუშვა.

მესამე სეტში კი სიტუაციის ბატონ-პატრონი უკვე საფინა იყო — ჯერ ერთი, ფსიქოლოგიური უპირატესობა მთლიანად მის მხარეს იყო. მეორეც, ტურნირზე უკვე ორ სამსეტიან ბატალიაში გამოვლილმა შარაპოვამ ვერც ფიზიკურად გაუძლო ამხელა დატვირთვას და მალე თეთრი დროშაც გამოფინა.

საფინას კი არანაკლები ბრძოლა ელის მეოთხედფინალშიც, სადაც კიდევ ერთ თანამემამულე ელენა დემენტიევას დაეტაკება, რომელმაც სხვათა შორის, კიდევ ერთ რუსს, ვერა ზვონარიოვას მოუგო. მართალია, ეს შეხვედრა იმდენად დაძაბული არ ყოფილა, როგორც შარაპოვა-საფინას ბატალია, მაგრამ ვერავინ იტყვის უინტერესო იყო.

დემენტიევამ ცუდად კი დაიწყო, მაგრამ 2:4-ზე ათამაშდა და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით პირველი სეტი სათავისოდ დაიტოვა. მეორეში უპირატესობას მთლიანად ზვონარიოვა ფლობდა და აკი მხოლოდ გეიმი ააღებინდა მეტოქეს. თითქოს ნამდვილი ომი აქ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დემენტიევას გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ელენამ მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.

„შთაბეჭდილება მაქვს, რომ „როლან გაროსზე" კი არა, რუსეთის ჩემპიონატზე ვთამაშობ" — იხუმრა ნამატჩევს დემენტიევამ, რომელსაც პარიზში ასე ღრმად არ შეუტოპავს 2004 წლის შემდეგ, როდესაც ფინალში ანასტასია მისკინასთან წააგო.

გაცილებით წყნარად ჩაიარა ყველაფერმა კაცებს შორის — და საერთოდაც, მეოთხე წრის შეხვედრები თითქმის ყოველგვარი ინტრიგის გარეშე მიმდინარეობს. სენსაციას ვინ ჩივის, 8-დან 6 წყვილში ბრძოლის ნასახიც არ ყოფილა და გამარჯვებულებმა საქმე სამსამ სეტში მოათავეს.

ზედიზედ მე-16 სასლემო მეოთხედფინალს უწია როჯერ ფედერერმა. შვეიცარიელი პარიზში ჯერჯერობით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება და შეიძლება ძველებური სიიოლითა და სინატიფით ვერ ჩოგნაობს, მაგრამ საუკეთესო რვაში ადგილი ზედმეტი პრობლემების გარეშე დაიბევა. გუშინ კი „მხიარული როჯერი" ჟულიენ ბენეტოს გაუმკლავდა, რომლის მთავარი მიღწევა ის იყო, რომ ალპელი ორჯერ დააბრეიკა. თითქოს დიდი ვერაფერი, მაგრამ თავად ბენეტოსთვის ფრიად დიდი მოვლენა გახლდათ, რადგანაც ორივე ბრეიკი ისე აღნიშნა, თითქოს მთლიანად ტურნირი მოეგოს.

თუმც ფრანგს ეს ყველაფერი იმისთვისაც ვერ ეყო, რომ მეტოქისთვის სეტი მაინც აერთმია. ფედერერი სამ პარტიაში ჩაეტია და მეოთხედფინალს კარგ ფორმაში ხვდება.

აქ „მხიარულ როჯერს" ფერნანდო გონსალესის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს, რომელმაც, თავის მხრივ, ტურნირზე შემორჩენილ უკანასკნელ ამერიკელ რობი ჯინეპრის გამოუყვანა წირვა. ამ ბიჭს მთელი ამერიკა გულის ფანცაქალით უცქერდა, რადგანაც პირველი იანკია ანდრე აგასის შემდეგ, პარიზში ასე შორს გასვლა რომ მოახერხა. თუმც გონსალესმა თავისი მომაკვდინებელი ფორჩენდით ამერიკის იმედს მალე მოუღო ბოლო და ჩემოდნების ჩასალაგებლად გაისტუმრა.

გონსალესი ნამატჩევს ფრიად კარგ გუნებაზე და ფედერერთან ჯახის წინ საომრად არის შემართული გახლდათ. ისე ჩილელის დიდგულოვნება გასაგებია, რადგანაც ერთადერთია, რომელსაც წლეულს თიხნარზე ერთხელაც არ წაუგია და გასაკვირი არაა, ალეპლთან მატჩის იმედიანად რომ არის.

ძახა ლომაშვილი

ჩერკასკში, იზმირში და ჰილტონ ჰიდში

უკრაინაში, ქალაქ ჩერკასკის თიხნარზე ITF-ის ეგიდით კაცთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება. შეჯიბრის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრას ერთბაშად ოთხი ქართველი ჩოგბურთელი ცდილობდა — ნოდარ ითონიშვილი, ლაზარე კუხალაშვილი, გიორგი ხრიკაძე და სერგო სიხარულიძე. ამათგან, სიხარულიძე პირველივე წრეში უიმედოდ, 0:6 3:6 დამარცხდა უკრაინელ ანტონ პროცენკოსთან. კუხალაშვილმა 6:1 6:1 აჯობა კიდევ ერთ მასპინძელ ასკოლდ კუზნეცკის, ხოლო ითონიშვილი და ხრიკაძე, როგორც კვალიფიკანთა შორის განთესილები, პირველი წრის შეხვედრებისგან თავისუფლები იყვნენ. ითონიშვილი, სულაც მე-3 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ მეორე წრის მატჩში 4:6 6:4 5:7 დამარცხდა რანგით გაცილებით დაბლა მყოფ უკრაინელ დენის მილჩენკოსთან. რაც შეეხებათ ხრიკაძესა და კუხალაშვილს, მეორე წრეში მათი მეტოქეები, შესაბამისად, მოლდოველი ილიე ბანჩუკი და რუსი მაქსიმ კანაპოვი იქნებიან.

ხსენებულ ჩოგბურთელთა გარდა, ამ კვირის ტურნირებზე კიდევ ორი ჩვენებური ითამაშებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთკაროლინური ჰილტონ ჰიდის მაგარსაფარზე ქალთა 10-ათასიანი ტურნირია და იქ სალომე დევიძე განთესილთა შორის იქნება. 10-ათასიიანი შეჯიბრი ტარდება თურქეთშიც, იზმირის ჰარდზე, სადაც სოფო ქვაცაბაია მე-6 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში 15 წლის ბრიტანელს, რეიტინგის 912-ე საფეხურზე მყოფ ტარა მურს დაუპირისპირდება.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge